EPRC

ჟურნალი

ფრონტისპირა დემოკრატია

ნაწილი 2, მარტი, 2021

ამერიკა დაბრუნდა? თუ მართლაც ასეა, რა გველის?

ამერიკა დაბრუნდა?

თუ მართლაც ასეა, რა გველის?

მკითხველებს

ეს „ფრონტისპირა დემოკრატიის ჟურნალის“ „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ და „ფუკუიამას დემოკრატიის ფრონტისპირა ცენტრის“ გამოცემის, მეორე ნომერია. გთავაზობთ ჩვენი ცენტრების კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში დაწერილი სტატიების ნაწილს, რომლებიც საგანგებოდ ჟურნალისთვის შევარჩიეთ. ამ ნომერში, გამოცდილი დიპლომატები და ექსპერტები გვიზიარებენ იმ სირთულეებისა და დაბრკოლებების ანალიზს, რომლებიც ახალ ადმინისტრაციას საერთაშორისო ასპარეზზე ელის და გვთავაზობენ სავარაუდო სცენარებს, რომელთა მიხედვით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში და შავი ზღვის რეგიონში განვითარდება.

მთავარი რედაქტორი: დევიდ ჯ. კრამერი, ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აღმასრულებელი რედაქტორი: ნინო ევგენიძე

რედაქტორი: ზაზა შენგელია

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

2021

სარჩევი

5 **შესავალი**

9 **ბაიდენის ადმინისტრაცია: საგარეო და საშინაო სირთულეების წინაშე** – დევიდ კრამერი

21 **რუსეთი და ამერიკა: ორმხრივი მტრობის მართვა** – ლილია შევცოვა

39 **ჯო ბაიდენი, რუსეთი, უკრაინა და საქართველო** – ჯონ ტეფტი

53 **საქართველო ნატო-ს გზაზე და ბაიდენის ადმინისტრაცია** – იან კელი

63 **შეუსმენელი ღაღადი 11 წლის შემდეგ: წერილი, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციას ევროპის უსაფრთხოების დაცვაში დაეხმარება** – ირინა არაბიძე

შესავალი

ამერიკა დაბრუნდა? თუ მართლაც ასეა, რა გველის?

„დღეს ამას ვამბობ როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომლის საპრეზიდენტო ვადა ეს-ესაა დაიწყო: ამერიკა დაბრუნდა. ტრანსატლანტიკური ალიანსი დაბრუნდა. ჩვენ აღარ ვიყურებით უკან, არამედ წინ, ერთად.“ ეს 2021 წლის 19 თებერვალს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გამოსვლის შესავალი სიტყვები იყო. ამის შემდეგ ამერიკის დაბრუნება ის თემა იყო, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის თითქმის ყველა წარმომადგენლის გამოსვლებში შეიმჩნეოდა. ტრამპის პრეზიდენტობის რთული წლების შემდეგ, რომელთა დროს ამერიკის ბევრ მოკავშირეს ვაშინგტონი ზოგიერთ მტერზე უარესად მოექცა, ხოლო ტრანსატლანტიკური ურთიერთობებმა ურთულესი პერიოდი გაიარეს, ბაიდენის გუნდი ცდილობს დრო არ დაკარგოს და მსოფლიოს გააგებინოს, რომ ამერიკის მეგობრებს მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეთ, მოწინააღმდეგეებს კი სიფრთხილე მართებთ.

თეთრ სახლში ახალი ადმინისტრაციის შესვლის შემდეგ ორი თვეა გასული. დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. ამ მოცემულობას ამძაფრებს ის ფაქტი, რომ სენატს სახელმწიფო დეპარტამენტში, თავად მდივნის, ენტონი ბლინკენის, გარდა ჯერ არავინ დაუმტკიცებია. ადმინისტრაციის საკვანძო თანამდებობები ჯერ კიდევ ვაკანტურია და ამერიკის საგარეო პოლიტიკის ხვალინდელი დღე იმ ხალხზე იქნება დამოკიდებული, რომელიც ამ სავარძლებს დაიკავებს. „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ გამოცემულ ესეების ამ ახალ კრებულში გამოცდილი დიპლომატები და ექსპერტები გვიზიარებენ იმ სირთულეებისა და დაბრკოლებების ანალიზს, რომლებიც ახალ ადმინისტრაციას საერთაშორისო ასპარეზზე ელის და გვთავაზობენ სავარაუდო სცენარებს, რომელთა მიხედვით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში და შავი ზღვის რეგიონში განვითარდება.

დევიდ კრამერს ოპტიმისტურად განაწყობს ის კანდიდატები, რომლებიც ახალმა პრეზიდენტმა უკვე დაასახელა. ესენია ბლინკენი სახელმწიფო მდივნად, ჯეკ სალივანი უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლად, ევრილ ჰეინსი ეროვნული უსაფრთხოების დირექტორად და უილიამ ბარნსი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორად. კრამერი აღნიშნავს, რომ „ბაიდენს ნამდვილად დასჭირდება ამ ნიჭიერ მოხელეთა ნაკრები საგარეო პოლიტიკაში. ამერიკაში მიმდინარე პროცესების და კრიზისის ფონზე მისი ყურადღე-

ბის დიდი ნაწილი შიდა პოლიტიკისკენ იქნება მიპყრობილი, რაც მას საერთაშორისო დღის წესრიგს დროებით ჩამოაშორებს, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკა ასე არ ფუნქციონირებს, მას არავინ დაელოდება. ვერავინ შეაჩერებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, იმ დრომდე როცა მათთვის ვაშინგტონი მოიცლის.“

როგორც კრამერი წერს, ბაიდენს უყვარს გამეორება, რომ შეერთებული შტატები არა მარტო მათი ძალის მაგალითით, არამედ მიცემული მაგალითის ძალით უნდა გახდეს მისაბაძი. ჩინეთის, ირანის, ჩრდილოეთ კორეის და კლიმატური ცვლილებების საკითხებთან ერთად, ბაიდენის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი დაზიანებული ტრანსატლანტიკური ურთიერთობების აღდგენაც იქნება. დრო აჩენებს, რამდენად შეძლებს ვაშინგტონი ევროპელი მოკავშირეების დარწმუნებას მოსკოვისადმი უფრო ხისტი პოზიცია დაიკავონ. ერთ-ერთი პირველი ტესტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ იქნება. ვაშინგტონი ამ გერმანიის მიერ მხარდაჭერილი პროექტის შეჩერებას ცდილობს.

ლილია შევცოვა მის სტატიაში შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობების რეალისტურ შეფასებას გვთავაზობს. ბაიდენის ბოლო ინტერვიუს ფონზე, რომელშიც ის ჟურნალისტს დაეთანხმა, რომ პუტინის „მკვლელია“, ორ ლიდერს შორის ურთიერთობას პოზიტიური მომავალი არ უჩანს. „ამერიკასთან ურთიერთობა რუსეთისთვის სისტემური ფაქტორია, რომელიც მისი „ზესახელმწიფოს“ სტატუსის განმაპირობებელია.“ შევცოვა მიიჩნევს, რომ ფუნდამენტური უთანხმოებების მიუხედავად, პუტინის რეჟიმს ვაშინგტონთან ურთიერთობის გაწყვეტის ფუფუნება არ გააჩნია. „ასეა თუ ისე, რუსეთს შეერთებული შტატები ყოველთვის დასჭირდება.“

შევცოვა ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობის ერთ-ერთ პარადოქსს გვახსენებს. ერთი მხრივ, რუსეთი შეერთებულ შტატებს მტრად და მოწინააღმდეგედ აფასებს, მაგრამ ამავე დროს „ამერიკაცენტრული მმართველობის მოდელის გამო, ის ამერიკის ყურადღებაზეა დამოკიდებული!“ ეს პარადოქსი ხაზს უსვამს, „ამ ორი ქვეყნის სისტემების შეუთავსებლობას, რაც მათ შორის მეტოქეობასა და კონკურენციას გარდაუვალს ხდის“. ამ არგუმენტის გათვალისწინებით ავტორი ვარაუდობს, რომ შეერთებული შტატებისა და რუსეთის ყველაზე რეალისტური მიზანი ორმხრივი უნდობლობის მართვა უნდა იყოს“. შევცოვა ასკვნის, რომ ასეთი დღის წესრიგით, ურთიერთობებში გარღვევას არავინ უნდა ელოდოს.

თუმცა, ერთი გარღვევა ბაიდენის საპრეზიდენტო ვადის მეორე კვირაში მოხდა, როცა ის და პუტინი ახალი START-ის ხელშეკრულების ხუთი წლის ვადით გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. ჯონ ტეფტს, შეერთებული შტატების

ყოფილ ელჩს საქართველოში, ლიეტუვაში, უკრაინასა და რუსეთში, ეს მაგალითი იმის დასტურად მოჰყავს, რომ „ახალი ადმინისტრაცია მზად არის რუსეთთან სასაუბროდ სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და ამავე დროს გულახდილად საუბრისთვის იმ თემებზე, რომლებმაც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა ცივი ომის ნიშნულზე დაიყვანეს.“ ამ ურთიერთობის კიდევ ერთი გამოცდა იქნება ის სანქციები, რომელთა დაწესებასაც შეერთებული შტატები ოპოზიციის ლიდერის, ალექსეი ნავალნის, აკრძალული ქიმიური იარაღით მოწამვლის გამო აწესებს. ახალი ადმინისტრაციის განცხადებით, ისინი არ აპირებენ კრემლის მიერ საკუთარი ხალხის მიმართ „ძალადობრივი რეპრესიების“ გატარებას უმოქმედოდ უყურონ.

ტეფტი აღნიშნავს იმ ყურადღებას, რომელიც ბაიდენმა პუტინთან სატელეფონო საუბრისას უკრაინის სუვერენიტეტის მხარდაჭერას დაუთმო. მისი აზრით ეს მიანიშნებს, რომ ბაიდენი და მისი გუნდი გააგრძელებენ რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნების აგრესიის წინააღმდეგ მოქმედებას.“

ტეფტი ბაიდენის შავი ზღვის რეგიონთან, კერძოდ კი საქართველოსა და უკრაინასთან, ურთიერთობის წარსულს გვახსენებს და ასკვნის, რომ „ბაიდენის შავი ზღვის რეგიონთან და კავკასიასთან კავშირი ღრმა და პიროვნულია. ის რეგიონს ამერიკის ნებისმიერ სხვა პრეზიდენტზე უკეთესად იცნობს.“

იან კელი საქართველოსა და ეუთო-ში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩია. მის სტატიაში ის ცდილობს ახსნას, თუ რატომ უნდა დაუჭიროს მხარი ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას. ეს, რა თქმა უნდა, მოსკოვის უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. „როგორც ჩანს, ბაიდენის ადმინისტრაცია ბუში უმცროსის შემდეგ პირველი იქნება, რომელიც ღიად და აქტიურად დაუჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას. ეს კარგი ამბავია იმ ქართველების სრული უმრავლესობისთვის, რომლებიც მათი ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციას უჭერენ მხარს. როცა საქმე საკითხის სამხედრო კომპონენტს ეხება, ქართველებმა დიდი ხანის დაამტკიცეს, რომ ალიანსის უსაფრთხოებაში საკუთარის წვლილის შეტანა შეუძლიათ.“

კელი აღიარებს, რომ ამ მიზნის მიღწევის გზაზე საქართველოს ბევრი რთული დაბრკოლება ელის. „საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხზე კონსენსუსის მიღწევის ყველაზე დიდი დაბრკოლება რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის შიშია. დღეს რუსეთმა უკვე კარგად იცის, რომ საქართველოსა და უკრაინის ალიანსში ინტეგრაციის შეფერხებისთვის ამ ქვეყნების ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია საკმარისი იქნება... მესამე ქვეყნისთვის ასეთი დე-ფაქტო ვეტოს უფლების მინიჭება ალიანსის რეპუტაციისა და საერთაშორისო პრესტიჟის შემლახავია, განსაკუთრებით „ღია კარის პო-

ლიტიკის“ ფონზე.“ ალიანსის როგორც წევრების, კანდიდატების ინტერესშია, რომ ეს არაფორმალური ვეტო დაძლეული იყოს.“ ავტორის აზრით, საქართველოში ამჟამად მიმდინარე კრიზისი დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს.

ირინა არაბიძე გვახსენებს ამერიკის რეგიონული პოლიტიკის თავისებურებას, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას რეგიონის ყველა სხვა ქვეყანასთან ურთიერთობაზე გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის სტატიაში ციტირებს იმ ღია წერილს, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ინტელექტუალებმა ობამას 2009 წელს გაუგზავნეს. ხელმომწერებს შორის იყვნენ ვალდას ადამკუსი, ვაცლავ ჰაველი, ლეხ ვალენსა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. არაბიძე შიშობს, რომ შესაძლოა კვლავ ვიხილოთ „თავისუფალი, ერთიანი და მშვიდობიანი ევროპის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგის, რუსეთის, შესაკავებლად საჭირო ერთიანი ტრანსატლანტიკური პოლიტიკის ნაკლებობა.“

ავტორი გვახსენებს, რომ რეგიონის უახლეს ისტორიაში ამერიკის ჩართულობა ხშირად არასაკმარისი და სუსტი იყო. „რეგიონში ამერიკის როლის დასუსტების კიდევ ერთი ნიშანი 2020 წლის ყარაბაღის ომი იყო. სამშვიდობო ხელშეკრულება დასავლელი მედიატორების, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის, გარეშე დაიდო... დაპირისპირება რეგიონული მნიშვნელობის მოთამაშეების მიერ კონფლიქტების მოგვარების ავტორიტარული მოდელის გამოყენებით მოგვარდა“, რაც რეგიონში რუსეთის დამატებითი სამხედრო კონტინგენტის გამოჩენასაც ითვალისწინებდა.

FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ბაიდენის ადმინისტრაცია: საგარეო და საშინაო სირთულეების წინაშე

დევიდ კრამერი

დევიდ კრამერი *ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტივენ გრინის საერთაშორისო და საზოგადოებრივი ურთიერთობების სკოლის უფროსი მკვლევარი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილეა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საკითხებში.*

2021 წლის 20 იანვარს ამერიკის ისტორიის ახალი თავი დაიწყო. ჯო ბაიდენის შეერთებული შტატების 46-ე პრეზიდენტად ინაუგურაცია ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შვების მომგვრელი მოვლენა აღმოჩნდა. სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა ბაიდენმა ყურადღება ამერიკელთა ერთიანობაზე გაამახვილა და ეს შეერთებული შტატების წინაშე არსებული სირთულეების დაძლევის აუცილებელ პირობად დაასახელა.

სირთულე მართლაც მრავლადაა. კორონავირუსის პანდემიის სტატისტიკა კვლავაც შემაშფოთებელია: ინფიცირების შემთხვევებმა 25 მილიონს მიაღწია, დაღუპულთა რიცხვი კი თებერვლის ბოლოს 500000-ს გაუტოლდება. უმძიმესი დარტყმა მიიღო ეკონომიკამ, რომელიც დანაკარგს ვერ აღიდგენს, სანამ ვირუსის გავრცელება კონტროლს არ დაექვემდებარება. ამ ყველაფერს უთანასწორობა, რასობრივი დაძაბულობა, ექსტრემიზმი და პოლარიზაცია ემატება.

ბაიდენის ადმინისტრაციას მძიმე მემკვიდრეობა ხვდება. სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხების რიცხვზე მეტყველებს 100-ზე მეტი საპრეზიდენტო ბრძანებისა და დირექტივის დაუყოვნებელი ხელმოწერა. მათ შორის იყო პანდემიასთან ბრძოლის საკითხები, მუსლიმთა შეერთებულ შტატებში დაშვების გაუქმება, მექსიკის საზღვარზე დაწყებული კედლის მშენებლობის შეჩერება, პარიზის კლიმატის შეთანხმებაში და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში დაბრუნება. ამ ინიციატივათა დიდი ნაწილი საარჩევნო კამპანიისას გაცემული დაპირებების შესრულებაა და დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებების გაუქმებაა.

ტრამპი არსად წასულა. სოციალური მედიის პლატფორმებიდან გაუჩინარების მიუხედავად, ტრამპი ინარჩუნებს იმ მნიშვნელოვან გავლენას, რომელიც მან რესპუბლიკურ პარტიაზე დაამყარა. ახლა ამას ყოფილი პრეზიდენტი ფლორიდიდან ახერხებს.

მასთან ღია დაპირისპირებას ძალიან ცოტა რესპუბლიკელი კონგრესმენი თუ გაბედავს. ტრამპის იმპიჩმენტს წარმომადგენელთა პალატის 10-მა რესპუბლიკელმა წევრმა დაუჭირა მხარი. ამ გამბედაობის გამო პოლიტიკური ფასის გადახდა მათ დაუყოვნებლივ მოუწიათ: ახლა მათ გადადგომას მათივე თანაპარტიელები ითხოვენ. ეს წარმომადგენელთა პალატის მიერ ინიცირებული ტრამპის მეორე იმპიჩმენტია. პირველად კონგრესის ქვედა პალატამ ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება 2020 წელს, უკრაინის მთავრობაზე ზეწოლის გამო გადაწყვიტა. კიევზე წნეხის მიზანი საარჩევნო კამპანიისას ჯო ბაიდენის მაკომპრომატირებელი ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება იყო.

მეორე იმპიჩმენტის ინიცირება 2021 წლის 6 იანვარს კაპიტოლიუმში და მის გარშემო დატრიალებული მოვლენების წაქეზებამ გამოიწვია.

შეერთებული შტატების ისტორიას არ ახსოვს სახელმწიფო მოხელე, რომლის იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგში ორჯერ დადგა. ტრამპის იმპიჩმენტს მხარი მხოლოდ ერთმა რესპუბლიკელმა სენატორმა, მიტ რომნიმ, დაუჭირა. ამჯერად რესპუბლიკელებს შორის პროცედურის მეტი მხარდამჭერი შეიძლება აღმოჩნდეს, თუმცა უმრავლესობა ტრამპის მათზე შესაძლო კონტრ-შეტევას უფრთხის. იმპიჩმენტის განხორციელებისთვის დემოკრატებს 17 რესპუბლიკელი სენატორის ხმა სჭირდებათ. ამ სტატიის წერისას მათი მიღების ალბათობა უკიდურესად დაბალია.

რესპუბლიკურ პარტიას სხვა პრობლემებიც მრავლად აქვს. კონგრესში ახლადარჩეული მარჯორი ტეილორ გრინისა და ლორენ ბიბერტის მსგავსი რესპუბლიკელები მუქარითა და სიძულვილის ენით გაჯერებული კომუნიკაციით გამოირჩევიან. რესპუბლიკელთა ლიდერები, მათ შორის კევინ მაკკარტი, პარტიის ექსტრემისტულ ფრთასთან დაპირისპირებას თავს არიდებენ. ტრამპთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებისთვის იანვრის ბოლოს მაკკარტი მას მარა-ლაგოშიც კი ესტუმრა.

რესპუბლიკურ პარტიაში შექმნილი არეულობის ფონზე არ უნდა გამოგვრჩეს ბაიდენის საპრეზიდენტო ვადისიმედისმომცემი დასაწყისი. პრეზიდენტმა ხელისუფლების საკვანძო თანამდებობები მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალებით დააკომპლექტა. ნელი დასაწყისის შემდეგ, სენატში მათი დამტკიცებისპროცესი სრული სიჩქარით მიმდინარეობს. ენტონი ბლინკენი, რომელიც სენატმა სახელმწიფო მდივნის პოზიციაზე დაამტკიცა, უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ექსპერტი და პროფესიონალია. ის სენატორი ბაიდენის მიერ საგარო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეობისას მისი უახლოესი მრჩეველი იყო, პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციაში კი სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობაზე მსახურობდა.

მდიდარი გამოცდილება გააჩნია ჯეიკ სალივანსაც, რომელიც ბაიდენის უშიშროების საკითხებში მრჩევლისპოზიციას იკავებს. თავდაცვის მდივანად კონგრესმა გადამდგარი გენერალი ლოიდ ოსტინი დაამტკიცა, ნაკლებად ცნობილი საჯაროა პირია, თუმცა ზურგს მასაც შთამბეჭდავი სამხედრო სამსახური უმაგრებს. აღიარებული პროფესიონალია სახელმწიფო ხაზინის ახალი მდივანი ჯენეთ იელენიც. შესანიშნავი რეპუტაციით სარგებლობენ უსაფრთხოების სამსახურის ახალი ხელმძღვანელები - ეროვნული დაზვერვის დირექტორი ევრილ ჰეინსი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი უილიამ ბარნსი.

ბაიდენის მიერ შეკრებილი ეს შთამბეჭდავი შესაძლებლობების მქონე გუნდი დაუყოვნებლივ უნდა ჩაერთოს მუშაობაში. შეერთებული შტატების შიდა პრობლემების მოგვარებას შესაძლოა წლები დასჭირდეს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ამ დროს არ შენელდება. პრეზიდენტმა ბაიდენმა საშინაო და საგარეოდღის წესრიგის საკითხები პარალელურად უნდა გადაწყვიტოს.

ბაიდენს უყვარს გამეორება, რომ შეერთებული შტატების ლიდერობა არა უბრალოდ მის ძალას, არამედ მისი მაგალითის ძალას უნდა ეფუძნებოდეს. დღეს, როგორც არასდროს, ლიდერის ეს პოზიცია, კითხვის ნიშნის ქვეშაა. ეჭვგარეშეა, რომ ბოლო რამდენიმე წლის დინამიკამ, რომელიც განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე თვეში გამძაფრდა და 6 იანვარს კაპიტოლიუმის ცნობილი მოვლენებით დასრულდა, შეერთებული შტატების პრესტიჟსა და გავლენას დიდი ზიანი მიაყენა.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აჯანყებული ბრბოს კაპიტოლიუმში შეჭრიდან რამდენიმე საათის შემდეგ, წარმომადგენლობითი პალატისა და სენატის წევრები შენობაში დაბრუნდნენ, რათა არჩევნების შედეგების აღიარებისთვის საჭირო პროცედურები დაესრულებინათ. ორი კვირის შემდეგ, კაპიტოლიუმის უსაფრთხოების გარღვევისა და პოლიციაზე თავდასხმის ადგილზე პრეზიდენტმა ბაიდენმა და ვიცე- პრეზიდენტმა ჰარისმა ფიცი დადეს. ასეთი თვალშისაცემი კონტრასტი შეერთებული შტატების ინსტიტუტების მდგრადობაზე მეტყველებს. ამან არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში და ამერიკული პოლიტიკური სისტემის დაცულობის დონე არ უნდა გადავაფასოთ. კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრილ ბრბოს ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა და სპიკერმა ნენსი პელოზიმ რამდენიმე წუთით გაასწრეს. მოვლენები გაცილებით მძიმე სცენარით შეიძლებოდა განვითარებულიყო.

ტრანსატლანტიკური ურთიერთობები

საშინაო პრობლემების გარდა ბაიდენი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეერთებული შტატების შელახული რეპუტაციით იწყებს. „საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს“ მიერ 11 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ბაიდენის გამარჯვებას ევროპელთა უმრავლესობა

მიესალმება, მაგრამ 32% ამბობს, რომ ტრამპის შემდეგ ამერიკის ნდობა აღარ შეიძლება. საპირისპირო აზრი გამოკითხულთა მხოლოდ 27%-ს აქვს. ამერიკელებისადმი უნდობლობას გამოკითხულ გერმანელთა 53% ავლენს. ბრიტანელებს შორის ეს მაჩვენებელი 35%-ია, ფრანგებს შორის კი ყველაზე ხშირი პასუხი „არ ვიცი“-ია.

საბოლოო ჯამში, გამოკითხულთა 60%-ზე მეტი – ბრიტანელთა 81%, გერმანელთა 71%, ფრანგების 66% – ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამერიკული პოლიტიკური სისტემა „სრულად“ ან „ნაწილობრივ“ დაზიანებულია. ათი გამოკითხულიდან ექვსი მიიჩნევს, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში ჩინეთი შეერთებულ შტატებზე ძლიერი იქნება. ამერიკის დადებითი ხედვა უფრო ძლიერი მხოლოდ პოლონეთსა და უნგრეთშია, სადაც პოლიტიკური ლიდერები ტრამპისადმი პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი. შეერთებული შტატების სტატუსის აღდგენა ბლინკენისა და ბაიდენის პრიორიტეტია. ეს ადვილი მისაღწევი არ იქნება.

სიმართლე რომ ითქვას, შეერთებული შტატების გავლენა წლების განმავლობაში სუსტდებოდა. ტენდენციას სათავე 2003 წელს ჯორჯ ბუშ უმცროსის მიერ ერაყში ინტერვენციის გადაწყვეტილებამ დაუდო. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვებით ევროპაში გამოწვეული ენთუზიაზმი მისი აზიისკენ „შეტრიალების“ პოლიტიკის გამოცხადებისთანავე გაილია: ევროპელთა შორის გამყარდა კონსენსუსი, რომ ამერიკისთვის ამ კონტინენტის მნიშვნელობა წარსულთან შედარებით უმნიშვნელო იყო. ტრამპის საპრეზიდენტო ვადის დაწყების შემდეგ ამ მოსაზრებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

შესაბამისად, არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილი ჯო ბაიდენის გამარჯვებას მიესალმა. გასული ოთხი წლის განმავლობაში ტრამპს ხელიდან არ გაუშვია ამერიკის ევროპელი მოკავშირეების დამცირების შესაძლებლობა. საქმე ევროპელ ლიდერებზე პიროვნულ თავდასხმებამდე მიდიოდა. ტრამპის ევროპელი პარტნიორებისადმი დამოკიდებულებას შესანიშნავად ასახავს 2017 წლის ნატო-ს წევრი ქვეყნების შეხვედრაზე გადაღებული ვიდეო კადრები, რომელშიც ტრამპი მონტენეგროს პრემიერ-მინისტრს, მილო ჯუკანოვიჩს, პრესის დასანახად ჰკრავს ხელს. ტრამპმა ევროკავშირი შეერთებული შტატების ერთ- ერთ ყველაზე დიდ მტრად გამოაცხადა. ასეთმა ქცევამ ვაშინგტონის ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი ერთგულება დააყენა ეჭვქვეშ. არ უნდა იყოს გასაკვირი, ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ასეთი გაუარესების ფონზე ტრამპის დამარცხებითა და ბაიდენის გამარჯვებით გახარებული ევროპელების რეაქცია. ევროპელების გულწრფელი სიხარული.

ევროკავშირის და ევროპული ქვეყნების მთავრობების ბოლოდროინდელი ქცევა მიგვანიშნებს, რომ ისინი წარსული შეცდომების აღიარებას, პირველ რიგში, შეერთებული შტატებისგან ელიან. ურთიერთობა დათმობებს ორივე მხარისგან მოითხოვს. ვაშინგტონთან ურთიერთობის გამოსასწორებლად ძალისხმევა ევროპელებმაც უნდა გასწიონ. სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი მოვლენები ოპტიმისტურ მოლოდინს არ აჩენს.

ერთ-ერთი ასეთი მოვლენა 2020 წლის დეკემბერში ევროკავშირსა და ჩინეთს შორის მიღწეული შეთანხმებაა, რომელიც ნათლად მიანიშნებს ევროპელების მიერ პეკინთან ურთიერთობაში პრინციპულ პოზიციაზე უარის თქმას. უიგურების წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებისა და ჰონგ-კონგელთა რეპრესიების ფონზე ევროკავშირმა ადამიანთა უფლებების ნაცვლად უპირატესობა კომერციული ინტერესების დაცვას მიანიჭა. ევროკავშირის მეგობრული ჟესტების პარალელურად პეკინი კატეგორიულ უარს ამბობს კორონავირუსის წარმოშობის გამოძიებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებაზე, ემუქრება ტაივანსა და სხვა მეზობელ ქვეყნებს. შემაშფოთებელია ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის გერმანიის, მზაობა მიიღონ „ჰუავეის“ 5G ქსელი მათ ტერიტორიაზე და ამით შეერთებული შტატების პრინციპული პოზიციის უგულებელყოფა.

ევროპელები მძიმედ ცდებიან თუ ჰგონიათ, რომ პეკინის მიმართ ხისტი პოზიციის დაკავება მხოლოდ ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება იყო. ჩინეთის კომუნისტური პარტიის აგრესიული პოლიტიკის შეჩერებას დემოკრატიული პარტიის ბევრი წევრი ემხრობა. შესაბამისად, ჩინეთი ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის ნეგატიური ფაქტორი მომავალშიც იქნება. ამჟამინდელი მიდგომით ევროპა ვაშინგტონთან ურთიერთობის გართულების რისკზე მიდის.

ცალკე განხილვის ღირსია ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და თავდაცვის ბიუჯეტის საკითხები. როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა „ვაშინგტონ პოსტთან“ ინტერვიუში განაცხადა, „ახლა ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის ნდობის აღდგენაა საჭირო. მე ევროპისა და ამერიკის ერთმანეთის გარეშე განვითარების არ მჯერა. მათ მხოლოდ ერთად ვხედავ. დასამალი არ არის, რომ დონალდ ტრამპთან მძიმე საუბრები გვქონდა რუსეთზე, შეიარაღებათა კონტროლზე, თავდაცვის ხარჯების გაზიარებაზე და სხვა საკითხებზე“. ამ სადავო საკითხების დიდი ნაწილი ახალი ადმინისტრაციის პირობებშიც შეინარჩუნებს სიმწვავეს.

2006 წელს ნატო-ს ყველა წევრმა ქვეყანამ დადო პირობა, რომ 2024 წლისთვის მათ მიერ თავდაცვაზე გაღებული თანხები მშპ-ს 2%-ს მიაღწევდა.

დღესდღეობით შეერთებული შტატების გარდა, ეს პირობა რვა ევროპულმა ქვეყანამ შეასრულა. ამ რვა ქვეყნიდან ექვსი ალიანსს ბოლო 21 წლის განმავლობაში შემოუერთდა. შესაძლოა ბაიდენის მიერ ალიანსის წევრების მისამართით გამოთქმული რიტორიკა შერბილდეს, მაგრამ სხვისი დანახარჯებით სარგებლობა ვაშინგტონის კრიტიკის საგანი მომავალშიც იქნება.

ტრანსატლანტიკური ურთიერთობების გართულების კიდევ ერთი ფაქტორი ევროკავშირის მიერ ხუან გაიდოს ვენესუელის ლეგიტიმურ ლიდერად აღიარების გაუქმებაა. დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნისადმი ასეთმა აგდებული და უპრინციპო დამოკიდებულება ვაშინგტონში ვნებათა ღელვას გამოიწვევს.

ახალმა ადმინისტრაციამ გამოთქვა მზაობა და სურვილი შეერთებული შტატები პარიზის კლიმატის შეთანხმებას შეერთებოდნენ და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში დაბრუნებულიყვნენ. საერთაშორისო სტრუქტურებში დაბრუნება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანი იქნება. სწორედ შეერთებული შტატებისა და ევროპის უკან დახევამ განაპირობა ჩინეთის მიერ ექსპლუატაციისა და მანიპულაციის გზით საერთაშორისო ორგანიზაციების დამორჩილება. ბაიდენმა ირანთან მოლაპარაკებების განახლების თაობაზეც ისაუბრა. ამ და სხვა საკითხებზე ევროკავშირს და ზოგიერთ მის წევრ ქვეყანას კრიტიკული როლის შესრულება შეუძლია. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია მაშინ, როცა ვაშინგტონში ამ ინიციატივის წინააღმდეგი ბევრი რესპუბლიკელი აღმოჩნდა.

წინააღმდეგობებით აღსავსე და თითქმის დასრულებული „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი, რომელიც გერმანიასა და რუსეთს პირდაპირ დააკავშირებს, უკრაინას სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას დაუკარგავს და გაზრდის ევროპის დამოკიდებულებას რუსულ გაზზე, არა მარტო ამერიკასა და ევროპის, არამედ თავად ევროპელებს შორის უთანხმოებასაც გამომწვევია. 2018 წლის ბოლოს ევროპარლამენტმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ „ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის საშიშ პოლიტიკურ პროექტად“ შეაფასა. 2021 წელს, ალექსეი ნავალნის მოწამვლისა და უკანონო დაპატიმრების შემდეგ, ევროპარლამენტმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ამ პროექტის შეწყვეტას. შეერთებული შტატების კონგრესმა გაიზიარა ტრამპის ადმინისტრაციის პოზიცია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-თან დაკავშირებით და მხარი დაუჭირა მილსადენის მშენებლობაში ჩართულ კომპანიებზე სანქციების დაკისრებას.

2020 წლის აგვისტოში რუსეთის სპეცსამსახურების აგენტების მიერ ნავალნის მოწამლვის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომმერკელისმთავრობამილსადენისპროექტსშეწყვეტდა, თუმცაამაოდ. მილსადენისდასრულების გადაწყვე-

ტილებით გერმანიის მთავრობამ უთანხმოების კერა არა მარტო ბაიდენის ადმინისტრაციასთან, არამედ შეერთებული შტატების კონგრესის აბსოლუტურ უმრავლესობასთან და ევროპელების დიდ ნაწილთან შექმნა. ეს უთანხმოებები პუტინის რეჟიმისთვის გაკეთებული საჩუქარია.

ნავალნის მკვლელობის მცდელობაზე ევროპელთა რეაქციების პირველი ტალღა იმედისმომცემი იყო. ვითარება შეიცვალა შემდგომ ეტაპზე. თუმცა მალევე გაირკვა, რომ ანგელა მერკელი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ბოლომდე მიყვანას აპირებს, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შეფი ჟოზეფ ბორელი კი მოსკოვში კონსულტაციებზე ჩადის. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობას ყურადღება არავინ მიაქცია.

ეს ნიშნები მიუთითებს, რომ ევროკავშირი რუსეთის მიმართ პოზიციის შერბილებას აპირებს, რაც შეერთებულ შტატებთან აზრთა სხვადასხვაობის კიდევ ერთი მიზეზი იქნება. ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკა მოსკოვის მიმართ გაცილებით მკაცრ ფორმებს მიიღებს.

საპრეზიდენტო ფუნქციების დაწყებიდან მეორე დღეს ბაიდენმა უსაფრთხოების სამსახურებს საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლის შესაძლო ჩარევის, ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ ჩადენილი ტერაქტებისთვის რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაწესებული ჯილდოების და ამერიკულ კომპიუტერულ სისტემებზე რუსული კიბერ-თავდასხმების საკითხების ხელმეორედ შესწავლა დაავალა. ბაიდენი ამ საკითხებს პუტინთან პირველ სატელეფონო საუბარშიც შეეხო და უკრაინის მიმართ მხარდაჭერაც გამოხატა. ტრამპისთვის ჩვეულ შემრიგებლურ ტონთან კონტრასტი თვალშისაცემია. მოსკოვთან START- ის ხელშეკრულების განახლება ბაიდენის ადმინისტრაციის შეიარაღებათა კონტროლის პოლიტიკის ერთ- ერთი პრიორიტეტია. ამ ინიციატივის ვაშინგტონის რუსეთისადმი პოზიციის შერბილების ნიშნად აღქმა ევროპელთა შეცდომა იქნება.

ბაიდენის ადმინისტრაცია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მილსადენის საწინააღმდეგო ნაბიჯებს მომავალშიც გადადგამს. შესაბამისი კანონმდებლობა უკვე ძალაშია. დიდია ალბათობა ვიხილოთ მოსკოვზე დაკისრებული სანქციების ახალი პაკეტიც, ამჯერად ნავალნის მკვლელობის მცდელობის გამო. ტრამპისგან განსხვავებით, ბაიდენი კრემლში ახალი მეგობრების შეძენას არ აპირებს. რუსეთში პოლიტიკური ვითარების გაუარესებასთან ერთად, მნიშვნელოვანია შეერთებული შტატები და ევროკავშირი პუტინის რეჟიმთან მიმართებით საერთო პოზიციით წარსდგენენ.

ეს გულისხმობს უკრაინაში კონფლიქტის გაგრძელებისთვის, აკრძალული

ქიმიური ნივთიერებების პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ გამოყენებისთვის, ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ პროცესებში და არჩევნებში უკანონო ჩარევისთვის, თავად რუსეთში ადამიანთა უფლებების უმძიმესი ფორმებით შელახვისთვის ახალი სანქციების დაწესებას. დასავლეთმა პუტინს უნდა აგრძნობინოს, რომ ალექსანდრე ლუკაშენკოს დიქტატურის მხარდაჭერის ნებისმიერი მცდელობას კრემლისთვის მძიმე შედეგები მოჰყვება. არ უნდა იყოს დავიწყებული რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია. საპოვნელია ახალი მიდგომები, რომლებიც მოსკოვს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას აიძულებს. რუსეთის მეზობლებს უნდა შეეძლოთ კრემლის ჩარევისგან დაცული, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება.

ევროპელებსა და ამერიკელებს მეტი თანამშრომლობა მართებთ პანდემიასთან ბრძოლაში, ვაქცინის შექმნასა და დისტრიბუციაში. სანამ ევროკავშირის ქვეყნები და შეერთებული შტატები საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვით არიან დაკავებულნი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პეკინი და მოსკოვი იმ ქვეყნებშიც ცდილობენ პოლიტიკური და დიპლომატიური უპირატესობის მოპოვებას, რომლებსაც დასავლურ ვაქცინებზე ხელი არ მიუწვდებათ. ვაშინგტონმა, ბრიუსელმა და ევროპის სხვა დედაქალაქებმა არ უნდა დაუთმონ მოედანი ავტორიტარულ რეჟიმებს, როცა საქმე ნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამედიცინო დახმარებას ეხება.

რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის?

ეჭვგარეშეა, რომ საქართველო ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. 2020 წლის გაზაფხულზე ვირუსის პირველი ტალღის შედარებით მსუბუქად გადავლის შემდეგ, სავალალო შედეგები მოჰყვა ვირუსის მეორე ტალღას. მძიმე დარტყმა მიიღო საქართველოს ეკონომიკამ, ვითარების გამოსწორების ნიშნები ჯერ არსად ჩანს. სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებისას დაშვებულმა მნიშვნელოვანმა დარღვევებმა გამოიწვია. ოპოზიციის მიერ გამოცხადებული ბოიკოტის შედეგად მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოც-

ნებამ“ პარლამენტზე პრაქტიკულად სრული კონტროლი დაამყარა. დასავლეთი შეეცადა მედიატორის როლი ეთამაშა და მხარეებს შორის კომპრომისული შეთანხმებისთვის მიეღწია, წარუმატებლად დასრულდა. დაზიანდა საქართველოს რეპუტაცია, რომლის ქვაკუთხედი ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის სისტემა იყო.

მიუხედავად პოლიტიკური კრიზისისა, საქართველოს მხარდაჭერა ბაიდენის ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის ევროპული პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის უნდა იყოს. საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის ხანგრძლივი მჭიდრო ურთიერთობა, საქართველოს მოსახლეობის ძლიერი პრო-ამერიკული განწყობა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის უცვლელი ნება ასეთი მხარდაჭერისთვის საკმარისი მიზეზებია.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი და შეერთებული შტატების გერმანული მარშალის ფონდი 2021 წლის თებერვალში გამოაქვეყნებენ მოხსენებას, რომელიც ამ სტატიის ავტორმა საქართველოში შეერთებული შტატების ყოფილ ელჩთან, იან კელისთან, ერთად დაწერა. მოხსენებაში გაეცნობით არგუმენტებს, რომლებიც ახალ ამერიკულ ადმინისტრაციას საქართველოსთვის მხარდაჭერის გაწევის აუცილებლობაში არწმუნებს. ამავე დროს, ავტორებს მოჰყავთ ის პირობებიც, რომლებიც საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს, რათა ასეთი მხარდაჭერა გააძლიეროს. ამჟამად შექმნილი რთული ვითარება საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს.

FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

რუსეთი და აზია:

ორმხრივი მჭიდროების მპირობა

ლილია შევცოვა

ლილია შევცოვა, *Liberal Mission Foundation, მოსკოვი*

საბოლოო ჯამში, მოსკოვისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული. რუსეთს ამერიკა ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდება. უკიდურესად ირონიულია ის ფაქტი, რომ სწორედ შეერთებული შტატების მიერ 1930-იან წლებში გაწეულმა დახმარებამ[1] მისცა საბჭოთა კავშირს საშუალება მეტოქეობა გაეწია შეერთებული შტატებისთვის შემდგომში. ამერიკის დახმარებით რუსეთი დღესაც სარგებლობს. შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა ის სისტემური ფაქტორია, რომელიც რუსეთის ზესახელმწიფოს სტატუსის განგრძობას უწყობს ხელს. ეს სტატუსი ერთპიროვნული მმართველობის რუსული სისტემის ხერხემალი, პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოპოვების საშუალება და ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებიდან რუსეთის მოქალაქეების ყურადღების გადატანის ინსტრუმენტია.

რუსეთის მსოფლიოს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის პრიზმაში აფასებს. ეს თავშესაქცევ პარადოქსს წარმოშობს: წარმოიდგინეთ ამერიკისადმი მტრულად განწყობილი ცივილიზაცია, რომელიც ამავე დროს ამერიკის ყურადღებაზეა დამოკიდებული!

რუსეთის ორდონიანი პოლიტიკა

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს რუსეთმა შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის ორდონიანი მოდელი განავითარა: „შეკავება და დიალოგი“. გარემოებებიდან გამომდინარე, მოსკოვს ყოველთვის შეეძლო „შეკავების“ ან „დიალოგის“ მოდულით ესარგებლა. რუსული სისტემისთვის ყველაზე ცუდი სცენარი შეერთებულ შტატებთან კონფრონტაცია არ არის – ყველაზე მძიმე დარტყმა ვაშინგტონის მიერ მისი იგნორირება და უგულებელყოფა იქნება. მათ ხელთ არსებული სამხედრო და ეკონომიკური რესურსების ასიმეტრიის (ბირთვული იარაღის გამოკლებით) გათვალისწინებით, შეიარაღებათა კონტროლზე მოლაპარაკებები რუსეთისთვის „ზესახელმწიფოს“ სტატუსის შენარჩუნების გარანტიად იქცევა. შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი, რომელ-

1 *საბჭოთა კავშირის საწარმოების ორი მესამედი შეერთებული შტატების დახმარებით აშენდა.*

მაც რუსეთი საჯაროდ დაამცირა და „რეგიონულ მოთამაშედ“ შეაფასა, ბარაკ ობამა იყო. ამ შეფასებამ მოსკოვის გეოპოლიტიკური ამბიციების დამცირების ტენდენციას დაუდო სათავე, რომელიც შემდგომ დონალდ ტრამპმაც გააგრძელა. მოსკოვთან ორმხრივი ურთიერთობის ფორმატის უგულებელყოფით, ევროპაში რუსეთის „ენერგეტიკული როლის“ დასუსტებით და შეიარაღებათა კონტროლის რეჟიმის გაუქმებით რუსულ სისტემას, ნებსით თუ უნებლიედ, მძიმე დარტყმა პრეზიდენტმა ტრამპმაც მიაყენა.

კრემლი პრეზიდენტ ბაიდენის გუნდისგან რუსეთთან ურთიერთობის დღის წესრიგის გაცნობას ელის და ყურადღებით აკვირდება ვაშინგტონში მიმდინარე დებატებს. ვაშინგტონში ტრადიციად ჩამოყალიბდა ახალი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის მიერ მოსკოვთან ორმხრივი ურთიერთობის ე.წ. „გადატვირთვით“ დაწყება. ისტორიული გამოცდილება მიგვანიშნებს, რომ ეს ინიციატივა ყოველთვის იმედგაცრუებით სრულდებოდა.

ამჯერად, შეერთებული შტატების რუსეთთან ურთიერთობის მომავალზე იშვიათი ერთსულოვნებაა. ახალი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის დანიშვნას მოსკოვი ტრადიციული კეთილგანწყობით და ურთიერთობების „გადატვირთვის“ იმედით შეხვდა. თუმცა ამჯერად კრემლი სკეპტიკურად აფასებს ურთიერთობების გამოსწორების პერსპექტივებს. როგორც კრემლის აპოლოგეტი, ისე პუტინის მოწინააღმდეგე რუსი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ახალი ურთიერთობის მთავარი მახასიათებელი „კონფრონტაცია და აგრესიული მეტოქეობა“ იქნება. კრემლის „სასიცოცხლო მნიშვნელობის პრიორიტეტი“ შეერთებული შტატების მაქსიმალური შეზღუდვა იქნება.[2] ტრამპის საპრეზიდენტო ვადის ქაოსით მოცულმა დასასრულმა, რომელიც 6 იანვარს კაპიტოლიუმის იერიშით აღების მცდელობით აღინიშნა, მოსკოვში შექმნა შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შიდა პრობლემები მის გეოპოლიტიკურ როლს დაასუსტებს.

ამერიკული დებატები უფრო მრავალფეროვანი ჩანს. თვალშისაცემია პრაგმატისტთა გავლენიანი ფრთა, რომელიც თანამშრომლობის განახლების იმედს არ კარგავს.[3]

2 *www.themoscowtimes.com/2021/01/04/foreign-policy-experts-map-russias-plans-for-2021-a72365*

3 *The pragmatists say, „We need cooperation... the stakes are so high". https://www.politico.com/news/magazine/2020/08/05/open-letter-russia-policy-391434 It's Time to Rethink Our Russia Policy*

თანამშრომლობის შესაძლებლობები

რუსეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობების ისტორია მიგვანიშნებს, რომ ამ ორი ქვეყნის სისტემების შეუთავსებლობა მათ შორის მეტოქეობასა და მტრულ დამოკიდებულებას გარდაუვალს ხდის. ამ კონტექსტში მათ შორის თანამშრომლობა „ანომალიაა“, დაპირისპირება კი ურთიერთობების „ნორმალური“ მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია მათ შორის თანამშრომლობა იმ შემთხვევაში თუ შეერთებული შტატები აღარ შეეხება იმ თემებს, რომლებიც რუსეთს აღიზიანებს?

თუ მოვლენების ასე განვითარების ალბათობას დროებით გვერდზე გადავდებთ, შესაძლოა ამ კითხვას დადებითი პასუხი გავცეთ. მოსკოვში არსებული კონსენსუსის თანახმად საერთაშორისო წესრიგში „ნეო-ლიბერალიზმის“ და „ლიბერალ ინტერნაციონალიზმის“ დღეები დასრულებულია. შეერთებული შტატები საერთაშორისო ასპარეზიდან გადის. წარმოიშვა გლობალური მასშტაბის პრობლემები, რომელთა სიის სათავეში კორონავირუსის პანდემიაა. ამ სირთულეების გადალახვა ყველა სახელმწიფოს კოლექტიურ მოქმედებას მოითხოვს, მიუხედავად მათი პოლიტიკური რეჟიმისა. როგორც უოლტერ რასელ მიდი წერდა, „პლანეტის კლიმატური კატასტროფისგან გადარჩენა და ჩინეთის შემაკავებელი კოალიციის შექმნა ის ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს და ამართლებს ნაკლებ სკრუპულოზობას როგორც მოკავშირეთა, ისე ტაქტიკის შერჩევისას“.[4]

ამგვარად, პუტინის რუსეთთან უკეთესი თანამშრომლობისთვის შესაძლოა გამართლებულად ჩანდეს კრემლისთვის გამაღიზიანებელი საკითხების გვერდზე გადადება.

ასეთ მიდგომას კრემლი დადებითად შეხვდება. ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოსკოვს მიანიშნებს, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობს საკუთარი საგარეო პოლიტიკის ნორმატიულ ტრადიციაზე. მოსკოვისთვის თეთრი სახლის სიჩუმე საკმარისი არ იქნება, კრემლი სხვა დათმობებსაც მოითხოვს. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის რუსეთსა და დასავლეთს შორის მძაფრი კონფრონტაციის მიზეზი იყო. მოსკოვს ექნება მოლოდინი, რომ ვაშინგტონი კიევზე მოახდენს ზეწოლას, რათა ამ უკანასკნელმა უარი თქვას ნატო-ში ინტეგრაციაზე, ანექსირებული ყირიმი

4 *Walter Russell Mead, The End of the Wilsonian Era. Why Liberal Internationalism Failed, The Foreign Affairs, January/February 2021*

კი რუსეთის ტერიტორიად აღიაროს. გულუბრყვილოა იმის ვარაუდი, რომ მოსკოვის დონბასს უპირობოდ დატოვებს. პირიქით, მოსკოვი დონბასისთვის განსაკუთრებულ სტატუსს მოითხოვს, რომელიც რეგიონის მოსკოვისადმი მორჩილების გრძელვადიანი გარანტია იქნება. შეერთებულ შტატებს მოუწევს ამ შეთანხმებაზე ევროპელების დათანხმება და კიევის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაზე კონტროლის აღდგენის შემდეგ მოსკოვზე დაკისრებული სანქციების გაუქმებაზე ზრუნვა. რამდენად შესაძლებელია უკრაინა ასეთ დათმობებზე წავიდეს? ეს ძნელი წარმოსადგენია. პრო-რუსული დონბასის უკრაინულ სახელმწიფოში რე-ინტეგრაცია მას შიგნიდან დაასუსტებს. მოსკოვი მისი მოთხოვნების შემსუბუქებას არც კი განიხილავს. ვაშინგტონისთვის ერთადერთი გამოსავალი კრემლის პირობებზე დათანხმება იქნება. თეთრი სახლის ახალი გუნდის შემადგენლობის გათვალისწინებით ეს უკიდურესად არარეალისტური სცენარი. პრეზიდენტი ბაიდენისთვის და მისი გარემოცვისთვის ასეთი სცენარი მიუღებელი იქნება და თუ ვინმე მოსკოვში ასეთ შესაძლებლობაზე ფიქრობს, დროა გამოიღვიძოს.

ამ წარმოსახვითი სავარჯიშოს ბოლომდე მიყვანისთვის, წარმოვიდგინოთ, რომ ვაშინგტონის მიერ გადადგმული ნაბიჯების საპასუხოდ მოსკოვი საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას აღიარებს და პირობას დადებს, რომ ასე აღარასდროს მოიქცევა. ასეთი ფაქტიც წარმოუდგენელია. კრემლის დევიზი უცვლელია: არასდროს აღიარო! რამდენად შესაძლოა მოსკოვმა მეზობელ ქვეყნებზე ზეწოლის პირობა დადოს? შესაძლებელია. მაგრამ რამდენად შესაძლებელია მოსკოვმა ეს პირობა შეასრულოს? ეს ძნელი წარმოსადგენია. დღეს დადასტურებულად შეიძლება იმის თქმა, რომ კრემლი ნამდვილად კარგავს გავლენას პოსტ-საბჭოთა სივრცეში. შეერთებულმა შტატებმა უნდა გადაწყვიტოს ვისი გავლენის ზრდა იქნება მისთვის ამ რეგიონში სასურველი: ირანის? თურქეთის? ჩინეთის? ვაშინგტონმა შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ, საბოლოო ჯამში, რუსეთის მიერ რეგიონზე გავლენის შენარჩუნება იქნება უმჯობესი. მიმაჩნია, რომ ასეთი არჩევანი ახალი ადმინისტრაციისთვის მიუღებელი იქნება.

ამერიკასა და რუსეთს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე მსჯელობისას, არ უნდა დაგვავიწყდეს რუსეთის მმართველი კლასის მენტალიტეტი, რომლის საკვანძო პრინციპია: „кто кого?“. ამ პრინციპით მოქმედებისას მოწინააღმდეგეზე გამარჯვება მის განადგურებას გულისხმობს. მოსკოვისთვის ამერიკის მიერ გაკეთებული დათმობები სისუსტის მანიშნებელი იქნება. მოსკოვს არასდროს უთქვამს უარი ასეთი სისუსტეების გამოყენებაზე. ასეთ დათმობებს დღეს არავინ უნდა ელოდოს.

ძნელი წარმოსადგენია მოსკოვი დადებითად შეხვდეს ვაშინგტონის მიერ

დათმობების ნაცვლად რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში განეიტრალების მცდელობებს: ორმხრივი მოლაპარაკებებიდან გასვლა მოსკოვის საერთაშორისო პრესტიჟს აკნინებს.

ამერიკელი პრაგმატისტები იდეოლოგიური მემკვიდრეობის გადააზრებას მოითხოვენ: „ჩვენ არასწორი ინტერპრეტაციებისა და გათვლების მინიმუმამდე დაყვანა გვჭირდება“.[5] ეს ნიშნავს, რომ მოსკოვმა უნდა უარი თქვას მისი საგარეო პოლიტიკის დოქტრინის აქსიომებზე: ნატო-ს საფრთხეზე, დასავლეთის მიერ „რუსეთის დამცირების“ მანტრაზე, გავლენის სფეროს შექმნისა და ზრდის ლეგიტიმური უფლების ქონის რწმენაზე. ამ მხრივ პარიტეტი დაცულია. მოსკოვი არ უნდა ელოდოს ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ მის მიმართ გაკეთებულ დათმობებს და არც კრემლისგან არის მოსალოდნელი ვაშინგტონისთვის სასურველი დათმობებით „რუსული სისტემისთვის“ საფუძვლის გამოცლა.

ასეთი წინააღმდეგობების მიუხედავად, იყო პერიოდები, როცა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს ურთიერთობა დადებით დინამიკას ინარჩუნებდა. გორბაჩოვის, ელცინისა და პუტინის მმართველობის საწყის ეტაპ-ზე საბჭოთა კავშირისა და რუსეთის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა პარტნიორობის ფორმას ინარჩუნებდა. აქ საჭიროა კრემლის იმ მოტივების დანახვა, რომლებიც ამ მეგობრულ დამოკიდებულებას ედო საფუძვლად და საბჭოთა სისტემის დასასრულის გათვალისწინებაც. გორბაჩოვის შემთხვევაში ეს საბჭოთა კავშირის შეერთებულ შტატებთან მეტოქეობის შეუძლებლობის გააზრება იყო. ამ რეალობის მიღების შედეგი იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შერბილება, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მილიტარიზმით და დასავლეთთან ანტაგონიზმით შეკრული საბჭოთა სისტემის დაშლა დააჩქარა.

ელცინმა შეერთებული შტატების მხარდაჭერის მიღება და გამოყენება კრიზისში მყოფი რუსეთის ეკონომი-კური ტრანსფორმაციისთვის სცადა. 1990 წლების პირველი ნახევრის მეგობრული დამოკიდებულების ნაცვლად, 1999 წლის ივნისში, ის კონფრონტაციულ პოზიციას უბრუნდება, რომლის პირველი მანიშნებელი ცნობილი „პრიშტინას მარში“ იქნება. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ძალების ქცევას მათი ნატო-ს ძალებთან ურთიერთობის დაძაბვა მოყვება. 2001 წელს პუტინის მიერ პრეზიდენტ ბუშისადმი დაპირებული ანტიტერორისტული დახმარება საკუთარი მმართველობის კონსოლიდაციის სურვილს ეფუძნებოდა. მყისიერად შეიცვალა მისი დამოკიდებულება, როცა მიხვდა, რომ ვაშინგტონი რუსეთთან პრივილეგირებული ორმხრივი ურთიერთობისთვის მზად

5 *Time to Rethink Our Russia Policy https://www.politico.com/news/magazine/2020/08/05/open-letter-russia-policy-391434*

არ იყო: ურთიერთობამ კვლავ კონფრონტაციული ლოგიკა შეიძინა. პუტინი გორბაჩოვის გამოცდილებასაც ითვალისწინებდა: მისი ერთპიროვნული მმართველობის შენარჩუნებისთვის დასავლეთის შეკავება იქნებოდა აუცილებელი. პუტინის რეჟიმის ერთ-ერთ ბურჯად ანტი-ამერიკანიზმი იქცა.

დამაბნეველი შეფასებები

რუსეთისა და შეერთებული შტატების დაახლოების მომხრეების, ე.წ. „პრაგმატისტების“ შეფასებები თავზარდამცემია. ისინი თანხმდებიან, რომ ორ მხარეს შორის დაპირისპირება „არ ეფუძნება პოლიტიკურ ლიდერებს შორის გაუგებრობას ან უთანხმოებებს, რომელთა დაძლევა ორმხრივი დიალოგით იქნებოდა შესაძლებელი“. ის, რომ კონფრონტაცია „სისტემურია“, მათთვისაც ცხადია.[6] „პრაგმატისტები“ აღიარებენ მხარეების „მსოფლიო წესრიგის ხედვებს, გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და ღირებულებებს შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებებს“.[7] მათთვისაც ცხადია, რომ „რუსეთი ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების გლობალურ ლიდერობას, მსოფლიო წესრიგს, რომლის დამკვიდრებაშიც ამერიკამ უდიდესი როლი ითამაშა. მოსკოვი ერევა ამერიკის შიდა პოლიტიკაში რათა გაამწვავოს საზოგადოების პოლარიზაცია და შებღალოს ამერიკის დემოკრატიის რეპუტაცია“.[8] რამდენად გამართლებულია ამ კონტექსტში აზრიანი თანამშრომლობის იმედი? მეტიც, „პრაგმატისტები“ ადასტურებენ, რომ მხარეები ვერ შეძლებენ მათი პოლიტიკური სისტემების შეცვლას ან „სასიცოცხლო ინტერესებზე უარის თქმას“. მკითხველებს შევახსენებ, რომ პუტინის რუსეთის ერთ-ერთი „სასიცოცხლო ინტერესი“ შეერთებული შტატების დასუსტებაა. როგორ შეიძლება თანამშრომლობის მომხრეებს ეს ესმოდეთ და თანამშრომლობის მოლოდინი ჰქონდეთ?!

ბევრ კითხვას აჩენს „პრაგმატისტების“ მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიაც. მათთვის სასურველი მოდელი ასე გამოიყურება: „საუკეთესო შემთხვევაში ჩვენი ურთიერთობები კონკურენციისა და თანამშრომლობის შერეულ ფორმას მიიღებს. პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ყველაზე ხელსაყრელი და უსაფრთხო წონასწორობის შენარჩუნება იქნება“.

6 *Dmitry Trenin and Thomas Graham, How to safely manage the Us-Russia Great-Power Competition, carnegie.ru/commentary/83432*

7 *Ibid.*

8 *Time to Rethink Our Russia Policy https://www.politico.com/news/magazine/2020/08/05/open-letter-russia-policy-391434*

დასაწყისისთვის, დამაბნეველი და ბუნდოვანია ტერმინი „კონკურენცია“. „კონკურენცია“ ნიშნავს, რომ რუსეთი და შეერთებული შტატები ცდილობენ უკეთესები და მაქსიმალურად ეფექტურები იყვნენ. რომელ სფეროებში შეიძლება იყოს ასე? შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს ეკონომიკისა და იდეოლოგიურ ასპარეზზე იყოს ასე. რუსეთს ამ მიმართულებით განსაკუთრებული ძალისხმევა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ გაუწევია. პუტინის რუსეთი ცდილობს გადარჩეს და სისტემის გადაგვარება შეაჩეროს. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ვერავინ იტყვის, რომ შეერთებული შტატები გადაგვარების გზაზეა! სამხედრო კონკურენცია? ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარე ერთმანეთის შეკავებას სამხედრო საშუალებებით ცდილობს. შეკავება კონკურენციისგან განსხვავებული ფორმის მეტოქეობას გულისხმობს.

ვითარებას ვერც „მეტოქეობა“ აღწერს – ის მხარეების სიმეტრიულ რესურსებს გულისხმობს. არასწორია „კონფრონტაციაც“, რომელშიც ყოველთვის არსებობს მიზანი. რუსულ-ამერიკულ კონტექსტში ასეთი მიზანი ერთმანეთის შეკავებაა.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, თუ რატომ აკეთებენ „პრაგმატისტები“ არჩევანს ტერმინი „კონკურენციის“ სასარგებლოდ – „კონკურენცია“ „თანამშრომლობის“ შესაძლებლობას აჩენს. საპირისპირო ლოგიკა აქვს „შეკავებას“, რომელიც დიალოგისთვის შეზღუდულ სივრცეს ტოვებს.

„ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის“ იმედიც ანალოგიური რიტორიკული ფანდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის, რაც შესაძლოა შეერთებული შტატებისთვის იყოს სასარგებლო, არ იქნება რუსეთისთვის. კრემლისთვის ყველაზე დიდი სასურველი შედეგი შეერთებული შტატების განადგურება იქნება.

როგორც ჩანს, „ურთიერთსასარგებლო“ თანამშრომლობის მოლოდინი ამერიკისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმის რწმენიდან გამომდინარეობს“: რუსებმა უარი უნდა თქვან თავზეხელაღებულ ქცევაზე, ეს ხომ მათ ბევრ პრობლემას უქმნის და ძვირად უჯდებათ. აქ პრობლემა იმაშია, რომ რუსულ სისტემას „რაციონალურობის“ განსხვავებული ხედვა აქვს - ის ვერ მისცემს თავს უფლებას იყოს მეგობრული გეოპოლიტიკურ ოპონენტთან. შუღლზე უარის თქმა საფუძველს გამოაცლის მისი თვითგადარჩენის მექანიზმს, რომელიც „მტრის ხატის ძიებაზეა“ დამყარებული.

“პრაგმატისტებს“ ჯიუტად სწამთ, რომ ბირთული ომის საფრთხე ორივე მხარეს საერთო ენის გამონახვისკენ უბიძგებს. ასეთი საფრთხე ნაკლებად დამაჯერებლად ჩანს, ძნელია რომელიმე მხარეში თავგანწირვის ასეთი ხარისხი დაინახო. ამავე დროს, სახეზეა სისტემური პრობლემები, რომლებიც

მხარეებს თანამშრომლობის მაგივრად კონფრონტაციისკენ უბიძგებს. მაგალითად, შიდა პოლიტიკის თავისებურებების გამო კრემლისთვის ანტი-ამერიკული მობილიზაციის შენარჩუნება ვაშინგტონთან დაახლოებაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

რა მოაქვს ნორმატიულ დღის წესრიგს

პირდაპირ რომ ითქვას, რუსეთისა და შეერთებული შტატების დიალოგისადმი ნორმატიულ მიდგომაში ამა თუ იმ საკითხზე შეთანხმების მიღწევა კრემლის მიერ რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვაზე და მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის ხარისხზეა დამოკიდებული.[9] შიდა არეულობით დაკავებული ამერიკის ფონზე, რამდენად მოსალოდნელია ვაშინგტონმა რუსეთთან ურთიერთობაში უპირატესობა „ნორმატიულ მიდგომას“ მიანიჭოს? ტრამპის საპრეზიდენტო ვადის დრამატულმა დასასრულმა ბევრი კითხვა გააჩინა ამერიკის უნარზე ნებისმიერ ვითარებაში დაიცვას კანონის უზენაესობა და ხელი შეუწყოს დემოკრატიული სტანდარტების გაუმჯობესებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ამერიკამ ნორმატიული ლობოტომია განიცადა და მოსკოვს მიანიშნებს, რომ მასთან დიალოგს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუ კრემლი დასავლეთისადმი აგრესიაზე უარს უტყვის.

მართლაც, შეერთებული შტატების უფრო ხისტმა მიდგომამ შესაძლოა მოსკოვს უფრო ფრთხილი საგარეო პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგოს. მიუხედავად ამისა, რუსული სისტემისთვის შეუძლებელი იქნება შეერთებული შტატებისგან შექმნილ მტრის ხატის ხატზე უარის თქმა. ასეთი ნაბიჯის ერთადერთი წინაპირობა თავად სისტემის ცვლილება უნდა იყოს. შეკავების ამერიკულმა პოლიტიკამ კრემლს საკუთარი პოლიტიკის დივერსიფიკაციას, ექსპანსიისა და ძალის პროექციის საშუალებების დახვეწას აიძულებს. კრემლი ხელს ვერ აიღებს რუსეთის სამეზობლოს კონტროლზე: ეს რუსეთის გლობალური მოთამაშის სტატუსზე უარის თქმაა, რაც საშინაო პოლიტიკაზე კონტროლის დაკარგვის ტოლფასი იქნება.

9 *www.politico.com/news/magazine/2020/08/11/russia-reset-response-open-letter-393176*

პუტინის სისტემის საპასუხო რეაქცია რუსული სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის დარბევა და რეპრესიები იქნება. ასეთი რეაქცია უკვე ვიხილეთ 2021 წლის იანვარში, როცა რუსეთში დაბრუნებულ ალექსეი ნავალნის უკანა-ნო დაკავებას საპროტესტო აქციები მოჰყვა. გარესამყაროს ნებისმიერ წნეხს შიდა პოლიტიკური სივრცის რეპრესიები მოსდევს. დასკვნა სამწუხაროა: შეერთებული შტატების მიერ შეკავების პოლიტიკის გამკაცრების უმცირესი გამოვლინების ფასის გადახდა შესაძლოა რუსულ სამოქალაქო საზოგადოე-ბას მოუწიოს.

შეერთებულ შტატებს შეკავების პოლიტიკის მართვა რუსეთთან დიალოგის შესაძლებლობების გამორიცხვის გარეშე უნდა შეძლოს. ისტორიული გამოც-დილება გვაჩვენებს, მოსკოვთან კომპრომისის მიღწევისთვის დათმობებზე წასვლისთვის ვაშინგტონი ყოველთვის მზადაა.

რუსეთის იგნორირების ან იზოლირების ექსპერიმენტი კრემლს აიძულებს მსოფლიოს აჩვენოს ის ფასი, რომლის გადახდა მისი იზოლირების მცდე-ლობას მოჰყვება. რამდენად მზად არიან შეერთებული შტატები და დასავ-ლეთი ახალი „ცივი ომისთვის“?

შეერთებული შტატების რუსეთისადმი ნორმატიულ მიდგომას შედეგი კო-ლექტიური დასავლეთის მხარდაჭერის შემთხვევაში მოჰყვება. თუმცა ასეთი სოლიდარობის ნიშნებს ნავალნის მოწამლვისა და დაპატიმრების შემდეგაც კი იშვიათად ვხვდებით.

პუტინის სისტემა ნდობას გამორიცხავს

შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაზე გავლენის ერთადერთი ფაქტორი რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკისადმი ტრადიციული მიდრეკილე-ბა არ არის. ყველაზე მძლავრი ფაქტორი რუსეთის ცივილიზაციის ტრაექტო-რია და „რუსული სისტემის“ ლოგიკაა. კრემლმა უარი თქვა მოდერნისტულ დღის წესრიგზე. ამით ის მიანიშნებს, რომ დასავლეთთან კონფრონტაციის-თვის მზადაა: დასავლეთი რუსეთის მოდერნიზაციის ტრადიციული წყარო იყო.

პუტინის ეპოქის დასასრულის შიში, ძალაუფლების და ფინანსური რესურსების მმართველი ჯგუფის შთამომავლობისთვის გადაცემისთვის მზადების აუცილებლობა კრემლს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისა და საზოგადოების გარეშე ძალების გავლენისგან იზოლირებისკენ უბიძგებს. ბელორუსში დატრიალებულმა მოვლენებმა და ხაბაროვსკში გამართულმა საპროტესტო აქციებმა კრემლი რეპრესიული მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობაში დაარწმუნა. რუსულმა სისტემამ „ციხესიმაგრის“ მოდელზე გადასვლა დაიწყო.

ამ ვითარებაში მობილიზაციის საკვანძო ელემენტი შიდა და გარე მტრის ხატის ძიებაა. ამერიკა ასეთი მტრის იდეალური სახეა. კრემლის მიერ შიდა პოლიტიკურ სივრცეში დანახული პრობლემების გადაჭრა საერთაშორისო კონფრონტაციის შესაძლო რისკებს გადაწონის.

კრემლის აგრესიული პოლიტიკას მხარს ანტი-ამერიკული პროპაგანდით გაჯერებული რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი უჭერს მხარს. 2020 წლის ბოლოს, შეერთებულ შტატებს დადებითად „ლევადა ცენტრის“ მიერ გამოკითხულ რუსეთის მოქალაქეთა 35% აფასებდა, 51%-მა კი ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა.[10] 70%-მა შეერთებული შტატები რუსეთის მტრად შეაფასა.[11] ტრამპის პრეზიდენტობამ ამერიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის საზოგადოების ტრადიციულად პრო-დასავლურ წრეებშიც გააჩინა.

ეს ვითარება განსაკუთრებით ირონიულია, თუ გავითვალისწინებთ რუსეთში შეერთებული შტატების თაობა-ზე არსებულ შეხედულებებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1990-1991 წლებში რუსეთში გამოკითხულთა 74% რუსეთის უმთავრეს პარტნიორად შეერთებულ შტატებს ასახელებდა. 37% ამერიკისგან დახმარებას ელოდა (9% გერმანიისგან). 51% ამერიკას მეგობრულ ქვეყანად აფასებდა, 16% კი მოკავშირედ! შეერთებული შტატებისადმი მტრულ დამოკიდებულებას რესპოდენტთა მხოლოდ 1-2% ამჟღავნებდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია გამოკითხულთა 38%, რომელიც „დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე მნიშვნელოვნად შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობას მიიჩნევდა.[12]

10 *levada.ru/2020/12/01/otnosheniya-s-ssha-pri-dzhozefe-bajdene/*

11 *levada.ru/2020/10/15/vragi-2/*

12 *Денис Волков, Почему в России стали считать США врагом.www.carnegie.ru/commentary/60220*

ახალი სირთულეები

ახალმა გლობალურმა რეალობამ რუსეთისთვის მოულოდნელი სირთულეები წარმოშვა. რას ნიშნავს შეერთებული შტატების საერთაშორისო ასპარეზიდან უკან დახევა რუსეთისთვის? მოსკოვს უწევს შეერთებული შტატების რუსეთის მოწინააღმდეგის სტატუსის მნიშვნელობის შემცირება. რომელ ქვეყანას შეუძლია „მთავარი მტრის“ გათავისუფლებული ადგილის დაკავება? ჩინეთის ამ როლზე გამწესება ზედმეტად საშიშია. ევროპა?

„მულტიპოლარული“ საერთაშორისო სისტემის აუცილებლობაზე კრემლის გაუთავებელი საუბარი შესაძლოა ახლა მოსკოვის თავის ტკივილად იქცეს. რუსეთს რამდენიმე გრავიტაციული ცენტრის მქონე საერთაშორისო სისტემასთან ურთიერთობის გამოცდილება არასდროს მიუღია. რუსეთის პოლიტიკა და პროპაგანდა შეერთებული შტატების მიერ დომინირებული ერთპოლარულ მსოფლიოსთან ანტაგონიზმს ეფუძნება.

რუსეთი ვერ მისცემს თავს „მეორე ეშელონში“ გადასვლის უფლებას. ზე-სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებისთვის რუსეთი ყველაფრისთვის მზადაა! რუსეთის მოსახლეობა ამ სტატუსისადმი ინტერესს კარგავს, მაგრამ ელიტებისა და მმართველი წრეების ლეგიტიმაციისთვის ის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

როგორ აპირებს რუსეთი შეინარჩუნოს ეს სტატუსი პოსტ-პანდემიურ მსოფლიოში? „ახალი იალტა“ გამორიცხულია, ტერიტორიული ექსპანსია თვითმკვლელობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. რუსეთს უკვე უჭირს საკუთარი სამყაროს შენარჩუნება: პოსტ-საბჭოთა სივრცეში ახალი მოთამაშეები, მათ შორის ჩინეთი და თურქეთი, აქტიურობენ. უკრაინამ და მოლდოვამ ევროპისკენ აიღეს გეზი. რა რჩება რუსეთს? მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეებში კიბერ-საშუალებებითა და ელიტების გადაბირებით ჩარევა – ასეთია დღეს გეოპოლიტიკური გავლენის რუსეთის ხელთ არსებული ბერკეტები.

როგორ წარსული იმპერიების გამოცდილება მიანიშნებს, ნაკლებად ამბიციური როლისთვის მზადება რუსეთისთვისაც მტკივნეული პროცესი იქნება. ეს გარდაქმნა გარე სამყაროსთვის დამატებითი დაძაბულობის წყაროდ შეიძლება იქცეს.

ამ გარდამავალი პერიოდის შედეგები შეერთებულ შტატებზე მეტად, ამ შემთხვევაში, ევროპაზე იქნება დამოკიდებული. ამას გეოგრაფიული სიახლო-

ვისა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში ეკონომიკური ინტერესების მოცულობა განაპირობებს.

ნიშნავს თუ არა ეს რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დიალოგის გამორიცხვას? რა თქმა უნდა, არა. თუმცა შესაძლებლობები უფრო რეალისტურ შეფასებას მოითხოვს.

სისტემების შეუთავსებლობა არ ნიშნავს, რომ მათი შეხედულებები „საერთო ინტერესებზე“ ერთმანეთს დაემთხვევა. პანდემიის მსგავსი გლობალური პრობლემების არსებობა, ერთმანეთთან ურთიერთობაში მეტი თავშეკავების საფუძველი შეიძლება გახდეს. ამავე დროს, ზომიერება პუტინის რეჟიმის თვითგადარჩენის მექანიზმის ლოგიკას ეწინააღმდეგება. კონფრონტაციის განახლება კრემლს ნებისმიერ დროს შეიძლება დასჭირდეს, რეალური საფრთხის არსებობას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ექნება.

ვერ გამოვრიცხავთ სცენარს, რომელშიც პუტინის მემკვიდრე რუსეთს გარესამყაროსადმი მტრული დამოკიდებულების ტრადიციისგან გაათავისუფლებს. რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენს საიდან შეიძლება ასეთი ლიდერი გაჩნდეს იმ სისტემაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აღვივებდა ანტი-ამერიკულ და ანტი-დასავლურ განწყობებს. გარდა ამისა, ყველა ლიდერს უნდა ახსოვდეს გორბაჩოვის ბედი, რომელმაც ომის პარადიგმაზე უარის თქმით საფრთხეში მთლიანად საბჭოთა სისტემა ჩააგდო. რუსეთის ლიბერალური უმცირესობა, რომელიც მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს შეადგენს, ქვეყნის დასავლეთთან და ამერიკასთან დაახლოების დაჩქარებაში მნიშვნელოვან როლს ვერ ითამაშებს.

ასეთი ცვლილება შესაძლებელია თუ ახალი რუსული ელიტა დარწმუნდება, რომ დასავლეთის ლიდერთან კონფრონტაციის გამძაფრება მათი გადარჩენისთვისაც საშიშია. ეს რუსეთის მიერ მტრის ხატის გაუთავებელ ძიებასა და მილიტარიზმზე დაფუძნებული თვითგადარჩენის მექანიზმზე უარის თქმას ნიშნავს.

რუსეთზე შეერთებული შტატების გავლენაში ორი მიდგომა იკვეთება. პირველი პრაგმატულია: ამერიკელი “პრაგმატისტები“ დარწმუნებულები არიან, რომ რუსეთი გამოუსწორებელია. შესაბამისად, რუსეთის რეფორმირებისთვის დასავლეთი ვერაფერს გააკეთებს. ისინი მიიჩნევენ, რომ „რუსეთი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც არის... პუტინის შესაძლო მემკვიდრე, მისი მეტი დემოკრატიულობის შემთხვევაშიც კი, მისი წინამორბედის მსგავსად იმოქმედებს. ამერიკული პოლიტიკის დამკვიდრება არგუმენტზე, რომ ჩვენ

ამ მოცემულობის შეცვლა შეგვიძლია და გვევალება, მცდარია.“[13]

ძნელია არ იფიქრო, რომ ისტორია მუდმივი გამეორებით საბოლოოდ ფატალიზმად იქცევა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთი დარწმუნებული იყო, რომ „ისტორია მთავრდებოდა“ და ლიბერალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა. დასავლელი გურუები ამერიკისა და რუსეთის პარტნიორობის ახალ ეტაპზე და ამ უკანასკნელის დასავლეთში ინტეგრაციაზე საუბრობდნენ. როგორც ისტორიის შემდგომმა ეტაპმა აჩვენა, ლიბერალიზმის მიერ მსოფლიო დაპყრობა და რუსეთის დასავლეთში ინტეგრაციაზე საუბარი ნაადრევი აღმოჩნდა.

დღეს დასავლელი ექსპერტები საპირისპირო, ფატალისტურ შეხედულებას გამოთქვამენ. ისინი შესაძლოა მართლები იყვნენ რუსეთის უუნარობაზე გადაირჩინოს თავი საკუთარი ისტორიის ფატალიზმისგან. თუმცა ისინი რუსეთის რეალობის ცოდნის გარეშე მსჯელობენ, რომლის გაგება თავად რუსი მიმომხილველებისთვისაც არ არის ადვილი. პესიმისტები არ ითვალისწინებენ რუსულ საზოგადოებაში მუდმივად მზარდ ცვლილებების მოთხოვნილებას. ისინი რუსული საზოგადოების მიერ ამ მოთხოვნილების კონკრეტულ პოლიტიკურ შედეგებში კონვერტაციის უუნარობას ხედავენ. ნავალნის უკანონო დაპატიმრების შემდეგ გამართულმა მრავალრიცხოვანმა საპროტესტო აქციებმა შესაძლოა დააჩქაროს სიახლის ძიება და პუტინის რეჟიმს სტატუს-კვოს შენარჩუნება გაუჭირდეს.

გარდა ამისა, „მიიღეთ რუსეთი როგორიც არის“ მიდგომა პუტინის სისტემის ლეგიტიმაციას ახდენს და მის რეპროდუქციას აადვილებს. ეს შეხედულება ასევე რუსი ოპოზიციონერების დემორალიზაციას ახდენს და მათ ძალისხმევას აზრს უკარგავს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ნორმატიულმა მიდგომამ, რომლის ძირითადი ელემენტები „დემოკრატიის პრომოცია“, რუსული სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციონერების მხარდაჭერა იყო, თავის თავი ამოწურა. კრემლმა ასეთი დახმარების გაწევის ყველა შესაძლო არხი გაანადგურა.

რჩება სამი სფერო, რომელშიც შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს რუსეთში მიმდინარე პროცესებზე ირიბი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

პირველი, ვაშინგტონს შეუძლია ლიბერალური დემოკრატიის მოდელის მიმზიდველობა რუსეთისა და სხვა ილიბერალური ქვეყნებისთვის მნიშვნე-

13 *Time to Rethink Our Russia Policy https://www.politico.com/news/magazine/2020/08/05/open-letter-russia-policy-391434*

ლოვნად გაზარდოს. ამის საწინდარი საკუთარი პრობლემების მოგვარება იქნება.[14] აღსანიშნავია, რომ რუსეთისთვის უფრო ახლო მაგალითად შეერთებულ შტატებზე მეტად ევროპა შეიძლება იყოს.

მეორე, შეერთებულ შტატებსა და ევროპას შეუძლიათ რუსეთის გარშემო სივრცეში მეტი ჩართულობითა და ინვესტიციით ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის მოდელის უპირატესობის თვალსაჩინო დემონსტრირება იქნება. ეს ცვლილებების იმპულსს მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში გააძლიერებს.

მესამე, კლეპტოკრატიასთან და დასავლეთში მის ხელშემწყობებთან ბრძოლა არა მარტო დაუბრუნებს დასავლური დემოკრატიის რწმენას რუსულ საზოგადოებას, არამედ კრემლის კორუფციული სისტემის შესაძლებლობებსაც შეზღუდავს.

რა თქმა უნდა, ვერ ვიქნებით იმდენად გულუბრყვილოები, რომ გვჯეროდეს ამ დღის წესრიგის შესრულება უახლოეს მომავალში. სამწუხაროდ, კრემლი კიდევ დიდხანს ისარგებლებს საერთაშორისო ვითარებით, რომელიც მისთვის ხელსაყრელი, სასურველი და მისი სისტემის რეპროდუქციისთვის აუცილებელია.

ძნელი წარმოსადგენია პრეზიდენტ ბაიდენის მიერ ამერიკის რუსეთთან ურთიერთობების სრული გადაფასება, მას ამისთვის საკმარისი დრო და რესურსი არც გააჩნია. რუსეთში გამოკითხულთა მხოლოდ 12% თვლის, რომ ბაიდენის საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები გაუმჯობესდება.[15]

ადრე თუ გვიან შეერთებულმა შტატებმა უნდა გადაწყვიტონ იმ აუსრულებელი მიზნის ბედი, რომელიც მირაჟს დაემსგავსა – ეს რუსეთთან ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბებაა, რომელიც კონსტრუქციული იქნება გლობალურ პრობლემებთან გამკლავებაში და მნიშვნელოვანი გავლენა ექნება თავად რუსეთზე. ეს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იქნებოდა. ამასობაში, სხვა ნაკლებად მასშტაბური მიზნების მიღწევაა შესაძლებელი. მაგალითად,

14 *Arch Puddington, David J. Kramer have elaborated why democracy matters and, more particularly, why liberal democracy is essential to Americans' economic well-being and to America's standing in the world which will allow its impact on the illiberal states. Arch Puddington, David J. Kramer, How Democracy makes America Great, www.americanpurpose.com/articles/how-democracy-makes-america-great/*

15 *In November 2020 45 per cent of the Russian respondents said nothing will change in the relationship between Russia and the U.S. after ascendency of President Biden, 30 per cent said the relations will become worse and only 12 per cent believe they will become better. levada.ru/2020/12/01/otnosheniya-s-ssha-pri-dzhozefe-bajdene/*

რუსეთის ერთპიროვნული მმართველობის მოდელის რეპროდუქციის ხელისშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრა.

ამჟამად, შეერთებული შტატებისა და რუსეთის ყველაზე რეალისტური მიზანი შეიძლება ორმხრივი უნდობლობის ფონზე ურთიერთობების შენარჩუნება იყოს. ასეთი დღის წესრიგი ამბიციას მოკლებულია. ასეთ პირობებში რაიმე მნიშვნელოვან გარღვევას არ უნდა ველოდოთ. ამ ვითარებიდან გამოსასვლელად საჭირო იქნება იმ ძირეულ მიზეზთა შესწავლა, რომლებმაც ურთიერთობა ჩიხში შეიყვანეს. არასასიამოვნო რეალო-ბის აღიარება შესაძლოა უკეთესი ურთიერთობის უსაფუძვლო იმედზე ნაყოფიერი იყოს, რომლის ერთადერთი შესაძლო დასასრული გადადებული იმედგაცრუებაა.

ასევე საჭიროა რუსეთის მომავლისთვის გადამწყვეტი მომენტისთვის მზადება: ეს მმართველობის ცვლილებაა, რომელიც ახალი შესაძლებლობებისა და ახალი გამოწვევების მომტანი იქნება.

FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ბაიდენი, ტრამპი, უკრაინა და საქართველო

ჯონ ტეფტი

ჯონ ტეფტი, *ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში*

ჯო ბაიდენი საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულებას მწვავე საშინაო კრიზისის ფონზე შეუდგა. კოვიდ-19-ის პანდემიით დაზიანებული ქვეყნის ეკონომიკა ღრმა რეცესიაში შევიდა. თეთრ სახლში შესვლისთანავე ბაიდენმა მისი პრიორიტეტები ნათლად დასახა: ეს პანდემიასთან ბრძოლა, კლიმატური ცვლილებების შეჩერება და შეერთებული შტატების ეკონომიკის აღდგენა იყო. პრეზიდენტმა, სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა და თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა საგარეო პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება გამოყვეს: ამერიკის მეგობრებთან და პარტნიორებთან კავშირების განახლება და ჩინეთის საფრთხისთვის სათანადო ყურადღების მიქცევა. ამ უკანასკნელს ისინი შეერთებული შტატების წინაშე არსებულ უდიდეს საფრთხედ მიიჩნევენ. ეს პრიორიტეტები შესაბამისად იყო ასახული 2021 წლის მარტში გამოქვეყნებულ „ეროვნული უსაფრთხოების გარდამავალ სტრატეგიაში“ და სახელმწიფო მდივნის 2 მარტის გამოსვლაში „საგარეო პოლიტიკა ამერიკელი ხალხისთვის“.

როგორც ყველა ახლადარჩეულმა ადმინისტრაციამ ბაიდენის გუნდმაც მოვალეობის შესრულებამდე სენატის თანხმობა უნდა მიიღოს. კონგრესის ზედა პალატამ უმაღლესი თანამდებობის პირები და მათი მოადგილეები უნდა დაამტკიცოს. ამავე დროს, ადმინისტრაციამ საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხების გადახედვა დაიწყო. შესწავლის შედეგები შემდგომ სტრატეგიას და გადაწყვეტილებებს დაედება საფუძვლად. გადაუდებელი საშინაო საქმეებისა და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხების სიმრავლის გათვალისწინებით, ანალიტიკოსებსა და მიმომხილველებს შორის გაჩნდა კითხვები იმ დროისა და რესურსების თაობაზე, რომელთა დათმობასაც ახალი ადმინისტრაცია ევრაზიის რეგიონისთვის შეძლებდა.

პირველი მინიშნება 26 იანვარს ბაიდენისა და პუტინის სატელეფონო საუბრის შესახებ გავრცელებული ცნობა იყო. პირველი საუბრის შედეგი ახალი START-ის ხელშეკრულების ხუთი წლით განახლების შესახებ მიღწეული შეთანხმება იყო. ხელშეკრულებას ხელი 2011 წელს პრეზიდენტებმა ობამამ და მედვედევმა მოაწე-რეს ხელი. მიუხედავად უთანხმოების კერების სიმრავლის, შედარებით ადვილად მიღწეული შეთანხმება მიანიშნებდა ორივე მხარის დაინტერესებას ბირთვული იარაღის სტაბილური პარიტეტის შენარჩუნებაში. სატელეფონო საუბრისას პრეზიდენტმა ბაიდენმა მზადყოფნა გამოთქვა „უსაფრთხოების პოლიტიკისა და შეიარაღებათა კონტროლის საკითხებზე სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნებისთვის საჭირო დისკუსიის წარმოებისთვის.“ დღეს ნათელია, რომ ახალი ტექნოლოგიები და შეიარაღება, ჩინეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერება და ცვალებადი საერთაშორისო სიტუაცია ორივე მხარეს საერთო ენის გამონახვისკენ და

არასტაბილურ მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებისკენ უბიძგებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუტინთან სატელეფონო საუბრისას ბაიდენს რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობაში არსებულ სირთულეებზე საუბრისგანაც არ შეუკავებია თავი. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება უკრაინის სუვერენიტეტის მხარდაჭერაზე. სიტყვებს მალე საქმეც მოჰყვა, პირველ მარტს თეთრმა სახლმა უკრაინის უსაფრთხოების მხარდაჭერისთვის 125 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა გამოაცხადა. საუბრისას ბაიდენმა Solar Winds-ზე ჰაკერული თავდასხმაც, ალექსეი ნავალნის მოწამვლის მცდელობაც და მისი დაპატიმრებით გამოწვეული საპროტესტო აქციების დარბევაც ახსენა. ბაიდენის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველმა ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ყურადღებით აკვირდებოდა Solar Winds-ის უპრეცედენტო კიბერ-თავდასხმის გამოძიებას და მისი შედეგების მიხედვით თეთრი სახლი უმკაცრეს ზომებს მიიღებდა. მოსკოვის კვალის დადასტურების შემთხვევაში საპასუხო ზომების მიზანი რუსეთის დასჯა და მომავალში ანალოგიური თავდასხმების გამორიცხვა იქნება.

ზოგადი მიდგომა, რომელსაც ახალი ადმინისტრაცია მოსკოვს პირდებოდა, ორდონიანია: ერთი მხრივ, მზაობა რუსეთთან დიალოგისთვის იმ საკითხებზე, რომლებიც სტრატეგიულ სტაბილურობას შეუწყობს ხელს და მეორე მხრივ, გულახდილი და პირდაპირი საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებმაც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობა ცივი ომის დონეზე დაიყვანეს. რამდენიმე განცხადებაში თეთრმა სახლმა ხაზი გაუსვა, რომ ახალი „გადატვირთვის“ მოლოდინი მოსკოვს არ უნდა ჰქონოდა. ბაიდენის ადმინისტრაციის პირველი ნაბიჯები მიანიშნებს, რომ ამერიკის პოლიტიკა პრინციპების მკაცრად დაცვისა და პრაგმატული სტრატეგიის სინთეზი იქნება.

რამდენად შეძლებს ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას მოსკოვის მიერ უკრაინაში განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე და პუტინის რეჟიმის რეპრესიული ხასიათის გაძლიერებაზე საუბრის პარალელურად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს არავის შეუძლია. პუტინის რუსეთის შესაკავებლად ბაიდენსა და მის გუნდს დიდი ძალისხმევის გაწევა დასჭირდებათ. ნავალნის მკვლელობის მცდელობით გამოწვეულ დასავლეთის კრიტიკას რუსეთის ლიდერმა კონტრშეტევით უპასუხა. პრეზიდენტ მაკრონთან საუბარში პუტინმა ნავალნის მიერ საკუთარი თავის მოწამვლაც არ გამორიცხა. ნავალნის დაპატიმრებით გამოწვეული საპროტესტო აქციები კრემლმა დასავლეთის რუსეთის საშინაო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობად შეაფასა. ამავე დროს, რუსეთი არ წყვეტს ამერიკულ კომპანიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებზე კიბერ-შეტევებს. ასეთი ქცევის

ერთადერთი შედეგი ის ზეპარტიული კონსენსუსია, რომელიც ვაშინგტონში რუსეთის და სხვა აგრესიული ძალების წინააღმდეგ გასატარებელ მკაცრ სა-პასუხო ზომებზე ჩამოყალიბდა.

რა ადგილს დაიკავებენ საქართველო, უკრაინა და რუსეთის სხვა მეზობელი ქვეყნები ბაიდენისა და ბლინკენის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებში? პუტინთან პირველივე საუბრისას უკრაინის სუვერენიტეტზე ყურადღების გა-მახვილება მიანიშნებს, რომ პრეზიდენტი და მისი გუნდი არ აპირებენ კრემ-ლის მიერ მეზობლების აგრესიაზე თვალის დახუჭვას. ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია მეტ ყურადღებას დაუთმობს რუსეთის დონბასიდან გასვლის დაჩქარებას. ობამას ადმინისტრაციისგან განსხვავებით ბაიდენის გუნდს ბევრად კომპლექსური ვითარება ხვდება: რუსეთი მის „ახლო სამეზობლოს“ კვლავ ექსკლუზიური გავლენის სფეროდ აცხადებს, სამხრეთ კავკასიაში თურქეთი აქტიურობს, ხოლო ჩინეთი რე-გიონში ეკონომიკურ მოთამაშედ თავის დამკვიდრებას ცდილობს. ბაიდენის უკრაინასა და საქართველოსთან ურთიერთობის წარსული გამოცდილება შესაძლოა მისი მომავალი მიდგომების მანიშნებელი იყოს.

* * *

ბაიდენს და მის სახელმწიფო მდივანს, ენტონი ბლინკენს, საქართველოს-თან, უკრაინასთან, შავი ზღვის რეგიონთან და სამხრეთ კავკასიასთან ურ-თიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. მათ ზურგს საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული ბევრი ოფიციალური ვიზიტი და ამ ქვეყნე-ბის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის გაწეული ძალისხმევა უმაგრებთ. ბაიდენმა არაერთხელ უარყო ის პრინ-ციპი, რომლის თანახმად რუსეთი მეზობელ ქვეყნებს საკუთარი გავლენის ექსკლუზიურ ზონად აცხადებს. ის ცნობილია როგორც საქართველოსა და უკრაინის უსაფრთხოებისა და პოლიტიკის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგ-რაციის მხარდამჭერი.

ბაიდენისა და ბლინკენისთვის კარგადაა ნაცნობი რუსეთის მიერ საქართვე-ლოსა (2008 წელს) და უკრაინის (2014 წელს) წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიები, რომლებიც მათ ერთხმად დაგმეს. საერთო პოზიცია ჰქონდათ მათ ამ ქვეყნებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და დემოკ-

რატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის კუთხითაც. უკრაინისა და საქართველოს ლიდერებთან საუბრისას მათ ორმხრივი ურთიერთობებში „მკაცრი სიყვარულის“ ცნება შეიტანეს, რაც ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს აშენებას ანიჭებს. უკრაინისთვის ფინანსური დახმარების გაწევის წინაპირობა ანტი-კორუფციული ზომების გატარება იქნება. ბაიდენის ადმინისტრაციისგან მოსალოდნელია დახმარება რუსეთის აგრესიის შესაკავებლად საჭირო რესურსების დახმარების კუთხით. ვაშინგტონი დიდი ალბათობით იაქტიურებს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და კანონის უზენაესობის საკითხებში.

რეგიონის პრობლემებთან შეხება ბაიდენს ჯერ კიდევ სენატორობისას ჰქონდა. სენატის საგარეო ურთიერთობების წევრობისას და ამ კომიტეტის თავმჯდომარეობისას მომავალი პრეზიდენტი ევრაზიის კონტინენტის ბევრ ქვეყანაში ჩავიდა. 2008 წლის აგვისტოში, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში, ბაიდენი, სხვა ქვეყნების რამდენიმე ლიდერის მსგავსად, საქართველოს მხარდასაჭერად თბილისში ჩავიდა. სწორედ ამ ვიზიტისას დაპირდა ბაიდენი საქართველოს მთავრობას საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციისა და აღდგენისთვის 1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფას. მან დადო პირობა, რომ ყველაფერს გააკეთებდა რათა ბუშის ადმინისტრაციას „რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული საქართველოს მოსახლეობისთვის ქვეყნის აღდგენის და დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნებისთვის“ საჭირო დახმარება გამოეყო.

ბაიდენის ვიზიტიდან ერთი კვირის შემდეგ თბილისს სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრი, რესპუბლიკელი სენატორი, რიჩარდ ლუგარი ესტუმრა და საქართველოს მთავრობას დახმარების საგანგებო პაკეტის მიღებისთვის მხარდაჭერა აღუთქვა. ვაშინგტონმა სწრაფად იმოქმედა. სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა დახმარების გაწევის გადაწყვეტილება 3 სექტემბერს გამოაცხადა. ასეთი სწრაფი მოქმედება ბაიდენისა და ლუგარის მიერ მოპოვებული ზეპარტიული მხარდაჭერის დამსახურება იყო.

ბაიდენის რეგიონისადმი დათმობილი ყურადღება გაიზარდა მის მიერ ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დაწყების შემდეგ. 2009 წლის ივლისში, ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში, ის საქართველოსა და უკრაინას ეწვია. მისი ჩამოსვლის მიზანი ორივე ქვეყნის მთავრობისა და ხალხის ახალი ადმინისტრაციის მხარდაჭერაში დარწმუნება იყო. რეგიონულ ტურნეს წინ უსწრებდა ობამას ვიზიტი მოსკოვში, ვიცე-პრეზი-

დენტის მეზობელ ქვეყნებში გადაადგილებას ხაზი უნდა გაესვა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ვაშინგტონი „გადატვირთვის“ პოლიტიკით არ შემოიფარგლებოდა. უკრაინისა და საქართველოს პარლამენტებში სიტყვით გამოსვლისას ბაიდენმა განაცხადა, რომ მან და პრეზიდენტმა ობამამ მათი ვიზიტები ერთდროულად დაგეგმეს.

უკრაინაში ბაიდენის ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს, პრეზიდენტ იუშჩენკოს, პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს, პარლამენტის სპიკერ ვოლოდიმირ ლიტვინს, „რეგიონების პარტიის“ ლიდერს ვიქტორ იანუკო-ვიჩს და არსენი იაცენიუკს, რადას ყოფილ სპიკერს შეხვდა. „ნარინჯისფერი რევოლუციიდან“ ოთხი წლის შემდეგ ქვეყანა პოლიტიკურ დესტაბილიზაციას განიცდიდა, მძიმე მდგომარეობაში იყო უკრაინის ეკონომი-კა. ბაიდენის რადაში გამოსვლა პირდაპირობით გამოირჩეოდა. მან უკრაინის დამოუკიდებლობის „მამა“, ტარას შევჩენკო ახსენა და წარმოიდგინა, თუ რას გააკეთებდა ის ანალოგიურ ვითარებაში:

> „რატომ ვერ აჩვენებს უკრაინის მთავრობა მისი ხალხის მსგავს მოწიფულობას, რატომ ვერ აგებინებენ პოლიტიკური ლიდერები ერთ-მანეთს სათქმელს, რამაც პოლიტიკური პროცესი ჩიხში შეიყვანა და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს... ჩემი მოკრძალებული აზრით, უკრაინა ისტორიულ გამოცდილებას უნდა დაეყრდნოს. ინვესტიციას, რომელიც ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა, სტაბილური, გამჭვირვალე და მშვიდი გარემოს უზრუნველყოფა სჭირდება. ამის მიღწევის ერთადერთი გზა ეფექტური და ანგარიშვალდებული მთავრობაა.“

უკრაინიდან ბაიდენი საქართველოში გაემგზავრა, სადაც პრეზიდენტ სააკაშვილს, მთავრობისა და ოპოზი-ციის წარმომადგენლებს შეხვდა. ქართველი ხალხისადმი მისი გზავნილი მკაფიო იყო:

> „აქ ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მარტივი და გასაგები გზავნილით ჩამოვედი: ჩვენ, შეერთებული შტატები, თქვენ გვერდზე ვართ უსაფრთხო, თავისუფალი და დემოკრატიული, კვლავ გაერთიანებული საქართველოსკენ მიმავალ გზაზე.“

ბაიდენმა რუსეთს აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ შეერთებული შტატები ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად არასდროს აღიარებდა. ამ შემთხვევაშიც ბაიდენის გზავნილი მარტივად გასაგები და პირდაპირი იყო. ვაშინგტონი მხარს უჭერდა საქართველოს და-

მოუკიდებლობას, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზას, მაგრამ ამ მხარდაჭერის წინაპირობა დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა იყო.

ბაიდენი უკრაინაში ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის პერიოდში არ ჩასულა. კორუფცია და ადამიანი უფლებების მუდმივი დარღვევები ობამა-ბაიდენის ადმინისტრაციას იანუკოვიჩის გუნდისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას აძლიერებდა. ვაშინგტონისთვის გარდამტეხი მომენტი ოპოზიციის ლიდერის, იულია ტიმოშენკოს გასამართლება დაპატიმრება აღმოჩნდა. როცა 2014 წლის „ღირსების რევოლუციას“ იანუკო-ვიჩის რუსეთში გაქცევა, პუტინის მიერ ყირიმის უკანონო ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებული სამხედრო ინტერვენცია მოჰყვა, ბაიდენი ძალისხმევას არ იშურებდა, რათა კრემლს მისი აგრესიული ქმედებისთვის მაქსიმალურად ძვირი ფასი გადაეხადა. „ნიუ-იორკ თაიმსის“ თანახმად, ბაიდენი ობამას უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდებაზე დათანხმებას ცდილობდა. პრეზიდენტისგან უარის მიღების შემდეგ ბაიდენი უკრაინაში ჩადის. მას უკრაინის ლიდერებისთვის შეერთებული შტატების თავშეკავებული პოზიცია უნდა გაეცნო.

2014 წელს ბაიდენი უკრაინაში სამ ვიზიტს განახორციელებს, პირველი ვიზიტი აპრილში შედგა. ის შეეცადა შეეფასებინა უკრაინაში მიმდინარე ცვლილებების შედეგები და დაეფიქსირებინა ვაშინგტონის პოზიცია რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის საკითხზე. მან ახალ რადას განუცხადა, რომ მათ უნდა ებრძოლათ იმ იდეალებისთვის, რომლებმაც ისინი ძალაუფლებაში მოიყვანა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კორუფციისგან თავისუფალი, დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელობას:

> „თქვენ უნდა ებრძოლოთ თქვენი სისტემისთვის ენდემური კორუფციის სიმსივნეს... თქვენ გჭირდებათ სასამართლო სისტემა, რომელსაც არა მარტო თქვენ, არამედ დანარჩენი მსოფლიოც დამოუკიდებლად და სამართლიანად ჩათვლის.“

2014 წლის ივლისში ბაიდენი ახლად არჩეული პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს ინაუგურაციას ესწრება. მედიის ცნობით, ვიცე-პრეზიდენტი პოროშენკოს კორუფციასთან ბრძოლის დაწყებისკენ მოუწოდებდა, როგორც ხელისუფლებაში, ისე ბიზნესში, განსაკუთრებით კი ენერგო სექტორში. ანალოგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნას, რომელიც კანონის უზენაესობის დაცვას შეძლებდა. „ნიუ-იორკ თაიმსის“ მიერ მოყვანილი ციტატის თანახმად ბაიდენმა პოროშენკოს უთხრა: „თოვლზე თეთრები უნდა იყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო თქვენ მიგატოვებთ.“ 2015 წელს შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და საერ-

თაშორისო სავალუტო ფონდმა პოროშენკოს კორუმპირებული გენერალური პროკურორის, ვიქტორ შოკინის, გადაყენება მოსთხოვეს. ვაშინგტონისა და ბრიუსელის მხარდაჭერითა და თანხმობით, სავალუტო ფონდმა კორუმპირებული ჩინოვნიკის გადაყენება უკრაინისთვის გამოსაყოფი 1 მილიარდი დოლარის კრედიტის წინაპირობად გამოაცხადა. შოკინი ჩაანაცვლეს.

2017 წლის იანვარში კიევში გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ყოფნისას ბაიდენმა კიდევ ერთხელ შეახსენა უკრაინელებს შეერთებული შტატების მხარდაჭერის ორი ძირითადი მიმართულება, რუსეთის აგრესიასთან გასამკლავებლად საჭირო დახმარება და ფუნდამენტური რეფორმების გატარების აუცილებლობა:

> „თქვენ იბრძვით როგორც კორუფციის ვირუსის წინააღმდეგ, რომელიც აგრძელებს უკრაინის ღრღნას შიგნიდან, ისე კრემლის აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანას გარედან ემუქრება.“

ბაიდენის გზავნილის თანამიმდევრულობა თვალშისაცემი იყო.

* * *

ბაიდენს შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონთან პირადი და ძლიერი კავშირები აქვს. ის ამ რეგიონებს ყველა მის წინამორბედ პრეზიდენტზე უკეთესად იცნობს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესების დინამიკა, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. კოვიდ-19-ის პანდემიამ ყველა ქვეყნის პრობლემები გაამწვავა. არ წყდება ომი. დონბასში მიმდინარე საომარი მოქმედებები უკრაინის სუვერენიტეტს ასუსტებს. ცხინვალში შექმნილი რეჟიმის ხელით კრემლი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის „მცოცავ ოკუპაციას“. თუმცა ბოლო წლების ყველაზე მასშტაბური მოვლენა 2020 წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაწყებული ომი იყო. ყარაბაღში რუსეთისა და თურქეთის შეიარაღებული ძალები გამოჩნდნენ, შეიცვალა რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური კონფიგურაცია.

ახალი ადმინისტრაციის საქართველოსა და უკრაინაზე გავლენას დრო აჩვენებს. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ

მიმართული ძალისხმევა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება ბაიდენის დღის წესრიგში პრიორიტეტულ ადგილებს ინარჩუნებენ. დემოკრატია და კანონის უზენაესობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში.

გრძელდება ომი დონბასის რეგიონში. 2020 წლის ივლისში შეთანხმებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება ბოლო პერიოდში გახშირებული ინციდენტებით ირღვევა. კონფლიქტს 13 ათასამდე ადამიანი შეეწირა. 2015 წლის თებერვალში ხელმოწერილი „მინსკი II"-ს იმპლემენტაცია ჩიხში შევიდა. შეეცდება თუ არა ახალი ადმინისტრაცია გერმანიასა და საფრანგეთის დათანხმებას „ნორმანდიის ჯგუფის" მიერ მუშაობის განახლებაზე? როგორი ურთიერთობა ექნება ბაიდენს ზელენსკისთან? რუსეთის ოკუპაციის გარდა, უკრაინ-ას ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული პრობლემების გადაჭრა უწევს. ეს აღვირახსნილი კორუფცია და იმ ოლიგარქების მოქმედებაა, რომლებიც მათი ქვეყნის ინტერესებს მათ კერძო ინტერესებზე უკან აყენებენ. მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები კვლავაც არ გატარებულა, კვლავაც კორუფციით მოცულია სასამართლო და სამართალდამცავი სისტემები.

უკრაინასთან შედარებით წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში. მიუხედავად ამისა, სახეზეა მძაფრი პოლარიზაცია. 2019 წლის ივნისში ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებულმა მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ", ოპოზიციასთან პოლიტიკურ კომპრომისს მიაღწია. ოპოზიციის წამყვანი ძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა". შეთანხმების თანახმად, რომლის მიღწევაში შუამავლების ფუნქცია შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა შეასრულეს, გაიზარდა საპარლამენტო საარჩევნო სისტემის პროპორციული და წარმომადგენლობითი ხასიათი. 2020 წლის სექტემბერში და ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ" მოიპოვა. დასავლეთის მივლენილმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს დარღვევები ხმების დათვლის პროცესში, ამომრჩევლების მოსყიდვისა და დაშინების ფაქტები, მთავრობის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, თუმცა არჩევნების შედეგები აღიარეს.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ არჩევნების შედეგები არ მიიღო და პარლამენტში მოპოვებული ადგილების დაკავებაზე უარი განაცხადა. დასავლეთის წარმომადგენლებმა ოპოზიციას მანდატებით სარგებლობისკენ და პოლიტიკური ბრძოლის პარლამენტში გადატანისკენ მოუწოდეს. განახლდა მოლაპარაკებები, თუმცა პოლიტიკური დაპირისპირება ჯერ კიდევ მძაფრია. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ გასული 30

წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა ამ ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური ინვესტიცია განახორციელეს. ეს ვაშინგტონს საქართველოს პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანისთვის საჭირო კომპრომისის მისაღწევად აუცილებელ ბერკეტებს აძლევს. მიზანი დემოკრატიული სისტემის შექმნაა, ისეთი სისტემის, რომელშიც არჩევნები სამართლიანად, ამომრჩეველთა დაშინების გარეშე ტარდება, რომელშიც პარტიები არა პიროვნებების, არამედ იდეებისა და ინტერესების გარშემო ყალიბდება, რომელშიც იცვლება მმართველი ძალა, ხოლო უთანხმოებები პოლიტიკური კონფრონტაციის ნაცვლად მოლაპარაკებებითა და დებატებით წყდება. როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, საქართველოს პოლიტიკური პარტიები „კომპრომისს, ტოლერანტობას და ძალაუფლების დაყოფას უნდა შეეგუონ.“

* * *

უკრაინისა და საქართველოსადმი მხარდაჭერა ამერიკელი ხალხის ზეპარტიულ, ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსს ეფუძნება, რომელსაც ამ ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი და დემოკრატიული მომავლის შექმნის, ეკონომიკისა და ცხოვრების დონის გამოსწორებისთვის გაწეული ძალისხმევა იწვევს. ეს კონსენსუსი მნიშვნელოვანი არა მარტო ვაშინგტონის მიერ ამ ქვეყნებისთვის გაწეული ფინანსური და სამხედრო დახმარებისთვისაა. თუმცა ეს ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერისთვის, რომელიც ამ ქვეყნებს რუსეთის ექსპანსიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად სჭირდებათ. უკრაინა და საქართველო დასავლეთის პოლიტიკურ და სამხედრო სისტემაში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვიან, დემოკრატიული პრაქტიკის გამოსწორებას კრიტიკული მნიშვნელობა ექნება ამ მიზნების მისაღწევად.

2021 წლის მარტში გამოქვეყნებულ „ეროვნული უსაფრთხოების გარდამავალ სტრატეგიაში“ ბაიდენი აღნიშნავს:

> „მტკიცედ მჯერა, რომ დემოკრატია თავისუფლების, კეთილდღეობის, მშვიდობისა და ღირსეული ცხოვრების გასაღებია. ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ დემოკრატია სიკეთის მომტანია როგორც ამერიკელებისთვის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვისაც.“

სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა დემოკრატიულ განახლებას შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის რვა პრიორიტეტს შორის მესამე ადგილი მიანიჭა. მას მხოლოდ კოვიდ-19-ის დამარცხება და პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა უსწრებს წინ. ბაიდენის ადმინისტრაცია გააგრძელებს საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერას, თუმცა თავისი წილი პასუხისმგებლობა ამ ქვეყნებსაც გააჩნიათ. ეს მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის შექმნის პასუხისმგებლობაა.

„ფრიდომ ჰაუსის“ 2021 წლის მოხსენებაში საქართველო და უკრაინა „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიაში შედიან. საკუთარი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ამერიკელებმა იციან, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა მუდმივი პროცესია და მისი უკან შექცევა ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი. ამერიკის კონსტიტუციის პრეამბულაში მკაფიოდ არის განმარტებული, რომ ქვეყნის მიზანი „უფრო სრულყოფილი ერთობის ჩამოყალიბებაა“, ნაგულისხმევია დემოკრატიის დაცვისთვის საჭირო მუდმივ ძალისხმევას. ბაიდენმა და ბლინკენმა ეს კარგად იციან. როგორც თეთრი სახლი, ისე კონგრესი საქართველოს და უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან პროგრესს ელიან, დემოკრატიის უკუსვლას ცალსახად ნეგატიური რეაქცია მოჰყვება.

2015 წლის 15 დეკემბერს უკრაინის რადაში წარმოთქმულ სიტყვაში ბაიდენმა პარლამენტის წევრებს „ღირსების რევოლუციის“ იდეალების შესაბამისი ქცევისკენ მოუწოდა. უკრაინელ დეპუტატებს მან ირლანდიელი საზოგადო მოღვაწისა და ფილოსოფოსის, ედმონდ ბერკის, 1774 წლის საპარლამენტო გამოსვლის სიტყვები მოუყვანა:

> „პარლამენტი სათათბირო თავყრილობაა, რომლის ერთადერთი მიზანი მთელი ერის ინტერესების დაცვაა. ისეთი ინტერესების დაცვა, რომელიც არა კერძო, არამედ საჯარო ინტერესია, საჯარო სიკეთის მომტანია.“

ბაიდენმა უკრაინელ დეპუტატებს პირდაპირ უთხრა, რომ ისინიც ამ სტანდარტით განისჯებოდნენ:

> „თქვენი მოსამართლე თქვენი შვილიშვილები და შვილთაშვილები, თქვენი მემკვიდრეობა იქნება. ისინი განსჯიან აღმოაჩნდა თუ არა თითოეულ თქვენთაგანს მორალური გამბედაობა საჯარო ინტერესი საკუთარი ინტერესის უკან დაეყენებინა. ეს ყველაფერი მხოლოდ თქვენ ხელგეწიფებათ. თქვენ შეგიძლიათ ამ ერის ისტორიული

ტრაექტორია მეტი სამართლიანობისა და უკრაინელი ხალხისთვის მეტი შესაძლებლობებისკენ გადახაროთ. ამის გაკეთება ახლავე შეგიძლიათ.“

ხუთი წლის შემდეგ ეს სიტყვები ძალაშია როგორც უკრაინის, ისე საქართველოს შემთხვევაში. ამ სიტყვებში იგივე აზრი დევს, რომელსაც ბაიდენი საკუთარ თანამემამულეებს დემოკრატიისა და სამართლიანობის შესახებ უზიარებდა. შესაბამის მოქმედებას ელის ის უკრაინისა და საქართველოსგანაც.

FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

იან კელი,
ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტი



საქართველო ნატო-ს გზაზე და ბაიდენის ადმინისტრაცია

იან კელი, *ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში*

სენატის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის წინაშე სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დამტკიცების წინ მოსმენაზე გამოსვლისას ენტონი ბლინკენმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველო უფრო უსაფრთხო ნატო-ს შემადგენლობაში იქნებოდა: „წარსული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნები რუსეთის სამიზნეში არ ხვდებიან. ყველა მტკიცებულება მიუთითებს, რომ მოსკოვი აგრესიული იმ ქვეყნების მიმართაა, რომლებსაც ნატო-ს უსაფრთხოების ქოლგა არ იცავს“.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობის ასეთი ცალსახა მხარდაჭერა სასიამოვნო მოსასმენი იყო ყველასთვის, ვისაც დიდი ხნის განმავლობაში გვჯეროდა, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება არა მარტო სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, არამედ ეს ქვეყნისა და რეგიონის უსაფრთხოებას გააუმჯობესებდა. როგორც ბლინკენმა განაცხადა, ობამას და ტრამპის საპრეზიდენტო ვადებისას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებისადმი მიდგომა არ შეცვლილა. ვაშინგტონი მხარს უჭერდა ღია კარის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს ალიანსში გაწევრიანების შესაძლებლობას უნარჩუნებს სანამ ის „გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს და საერთო უსაფრთხოების დაცვაში თავის წვლილს შეიტანს“.

2008 წლის შემდეგ ვაშინგტონი ალიანსის შემადგენლობაში საქართველოს მიღების საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა. ობამას და ტრამპის ადმინისტრაციების წარმომადგენლებს არასდროს განუცხადებიათ, რომ საქართველო უფრო უსაფრთხოდ ნატო-ში იქნებოდა და ამ მიმართებით არც დიპლომატიური ინიციატივა გაუწევიათ. შეერთებული შტატების პოზიცია ბევრი ევროპული ქვეყნის მიერ დაკავებულ პოზიციას ემთხვეოდა: რუსეთის გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად ალიანსის საქართველოს მიღებით გაფართოების საკითხი აღარ განიხილებოდა. ნატო-ს გაფართოებაზე საუბრისას ევროპელი და ამერიკელი ოფიციალური პირები ბალტიის ქვეყნების მაგალითის ნაცვლად, როგორც წესი, მოსკოვის მიერ 2008 წელს საქართველოს და 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ინტერვენციებს იხსენებენ. ეს ალიანსის გაფართოების სასარგებლოდ გაკეთებულ არგუმენტად ვერ ჩაითვლება.[1]

განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებს ბაიდენის ადმინისტრაცია, რომელიც მიანიშნებს, რომ კრემლთან ურთიერთობა მოკავშირეებთან და პარტნიო-

1 *For example, in 2016, then-U.S. Ambassador to NATO Douglas Lute told an audience that "I think Russia plays an important part in the strategic environment and the strategic environment will put a brake on NATO expansion... In practical terms I don't there's much additional room in the near term, the next several years perhaps or maybe even longer, for additional NATO expansion " https://www.reuters.com/article/us-nato-expansion/no-chance-of-nato-expansion-for-years-u-s-ambassador-says-idUSKCN0XJ1GM*

რებთან ურთიერთობაზე პრიორიტეტული არ იქნება. „ამერიკის ადგილი მსოფლიოში“[2], ასე ერქვა ბაიდენის გამოსვლას, რომელშიც მან ხაზი გაუსვა: „ის დრო, როცა შეერთებული შტატები რუსეთის აგრესიულ ქმედებებს უპასუხოდ ტოვებდა დასრულებულია. ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ამერიკა საკუთარ ინტერესებს დაიცავს და რუსეთს მისი მოქმედების შესაბამის ფასს გადაახდევინებს“. როგორც ჩანს, ბაიდენი და მისი ადმინისტრაცია ნატო-ს გაფართოების მიმართ ჯორჯ ბუში უმცროსის შემდეგ ყველაზე დადებითად განწყობილი იქნება. ეს სასიხარულო ამბავია საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილისთვის, რომელიც ალიანსთან დაახლოებასა და გაწევრიანებას უჭერს მხარს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს ამოცანა შესრულებულია. პირიქით. ნატო-ში ინტეგრაციას ალიანსის ყველა წევრის თანხმობა სჭირდება. თბილისს დიდი ძალისხმევის გაწევა დასჭირდება ამ პერსპექტივისადმი სკეპტიკურად განწყობილი მოკავშირეების დასარწმუნებლად. ისინი უნდა დარწმუნდნენ რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ევროპას უფრო უსაფრთხოს გახდის. საქართველომ მათ უნდა დააჯეროს, რომ იმ ქვეყნის ალიანსში მიღება, რომლის ტერიტორიის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული, ომს არ გამოიწვევს. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე, თბილისმა დაამტკიცოს, რომ ის მზადაა დაიცვას ალიანსის დემოკრატიული მმართველობის სტანდარტები.

სამხედრო კუთხით, საქართველომ დიდი ხანია ალიანსის უსაფრთხოებაზე მზრუნველი საიმედო პარტნიორის რეპუტაცია დაიმკვიდრა. მჭიდროდ თანამშრომლობენ ნატო-ს საზღვაო სარდლობა და საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახური შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხში. საქართველოს მხარდაჭერით მიმდინარეობდა ნატო-ს ანტიტერორისტული ოპერაცია ხმელთაშუა ზღვაში, საქართველოს სამხედრო შენაერთები კი ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში არიან.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის დახმარებაა, რომელიც საქართველომ ნატო-ს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ რთული და მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას აღმოუჩინა ალიანსს. საქართველოს კონტინგენტი ნატო-ს ავღანური მისიის ყველაზე მრავალრიცხოვანია ალიანსის წევრების შემდეგ. ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ძალებს წვრთნიან.[3] საქართველოს შეიარაღებული ძალები მო-

2 *https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/02/04/remarks-by-president-biden-on-americas-place-in-the-world/*

3 *https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2017_11/20171201_171201_Media_Backgrounder_Georgia_en.pdf*

ნაწილეობას ერაყის ოპერაციაშიც იღებდნენ. საქართველომ შეერთებულ შტატებთან და ნატო-სთან პარტნიორობისთვის მძიმე ფასი გადაიხადა. მხოლოდ ავღანეთში 32 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, 280 კი დაიჭრა.[4]

საქართველოს ძალ-ღონე არ დაუშურებია ალიანსში გაწევრიანების პირობების სამხედრო შემადგენლობის დასაკმაყოფილებლად. ნატო-ს პირობებთან სრულ შესაბამისობაში საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მშპ-ს მოთხოვნილ 2%-ს აღწევს, შეიარაღებული ძალები კი სამოქალაქო კონტროლის ქვეშაა. ალიანსთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფილია სტრატეგიული დაგეგმვისა და სამხედრო რეფორმების ნატო-ს სტანდარტი. ერთობლივი სამხედრო ოპერაციების წყალობით საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატო-ს ძალებთან ურთიერთქმედების ყველა მექანიზმს ფლობს. 2016 წელს ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ საქართველოს „ნატო-ს წევრობისთვის საჭირო ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი გააჩნია“.[5]

საქართველოს ნატო-ს წევრობის საკითხზე კონსენსუსის მიღწევის ყველაზე დიდი დაბრკოლება რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის საფრთხეა. მოსკოვმა საჭირო დასკვნები გამოიტანა: საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების აღკვეთისთვის ამ ქვეყნებში შეჭრა და მათი სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციაა საკმარისი. რუსული ჯარების ამ ქვეყნების სუვერენულ ტერიტორიებზე ყოფნამ გააჩინა შიში, რომ ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში ეს ფაქტი მეხუთე მუხლის ამოქმედებას გამოიწვევს და ნატო რუსეთთან ომში აღმოჩნდება. გარე ძალებისთვის ასეთი ვეტოს შესაძლებლობის მინიჭება ალიანსის რეპუტაციას, პრესტიჟს და მისი ღია კარის პოლიტიკის სერიოზულობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამ ვირტუალური ვეტოს დაძლევა როგორც კანდიდატი, ისე ალიანსის წევრი ქვეყნების ინტერესებშია.

საქართველოს შემთხვევაში ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი შესაძლო გზა „ჰერითიჯის ფონდის“ მკვლევარმა, ლუკ კოფიმ, წარმოადგინა:

> *„საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის გაადვილება 1949 წლის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მეექვსე მუხლში შესწორებით შეიძლება. ეს მუხლი განსაზღვრავს იმ ტერიტორიებს, რომლებზეც მეხუთე მუხლის მოქმედება ვრცელდება. შესაძლებელია*

4 *https://en.wikipedia.org/wiki/Role_of_Georgia_in_the_War_in_Afghanistan_(2001%E2%80%932014)#:~:text=Overall%2C%2032%20Georgian%20soldiers%20have,killing%207%20and%20injuring%209*

5 *http://georgiatoday.ge/news/5297/Stoltenberg%3A-Georgia-Has-All-Practical-Tools-to-Become-NATO-Member*

ამ მუხლის რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელების დროებითი შეჩერება. ამ შესწორების შეტანა საქართველოს გაწევრიანების პროტოკოლის შედგენისას შეიძლება, როგორც ეს საბერძნეთისა და თურქეთის ნატო-ში გაწევრიანებისას მოხდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ზომები დროებითი ხასიათის იქნება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით აღდგენისთანავე დაკარგავს ძალას... ასეთი ზომის მიღება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას დააჩქარებს, წაართმევს მოსკოვს იმ დე-ფაქტო ვეტოს უფლებას, რომელიც მან საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციით მოიპოვა".[6]

როგორც კოფი წერს, გარიგება, რომლის შედეგად საქართველო ნატო-ში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის გარეშე შევა საქართველოს მთავრობისთვის პოლიტიკურად რთულად მისაღები იქნება. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის თუნდაც დროებითი დათმობა ემოციურად დატვირთული გადაწყვეტილება იქნება. ამ ინიციატივის მიღებას ყველა პრო-დასავლური პარტიის მხარდაჭერა დასჭირდება. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ორმაგად მნიშვნელოვანი იქნება. ერთი მხრივ, დაიძლევა წევრი ქვეყნების წინააღმდეგობა, რომელსაც რუსეთის შესაძლო რეაქცია იწვევს, მეორე მხრივ, ეს იქნება მტკიცებულება, რომ საქართველოს ხელისუფლება ალიანსში გაწევრიანებისთვის ნებისმიერი სირთულის პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად არის მზად. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი მწვავე პოლარიზაციით გამოირჩევა. გამონაკლისი ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებაა, რომელზეც ყველა წამყვანი პოლიტიკური, მმართველი თუ ოპოზიციური, ძალის ლიდერი თანხმდება.

სამწუხაროდ, თეთრ სახლში ახალი, ტრანს-ატლანტიკური ურთიერთობების გაძლიერების მხარდამჭერი ადმინისტრაციის შესვლას საქართველოში მწვავე პოლიტიკური კრიზისის ახალი ტალღა დაემთხვა. ამ პირობებში ოპოზიციისა და მმართველ პარტიას შორის შეთანხმებული მოქმედება ნაკლებად მოსალოდნელია. 2020 წლის შემოდგომაზე გამართული საპარლამენტო არჩევნებისას დაფიქსირებულმა დარღვევებმა მოქალაქეებისა და პოლიტიკური სექტორის მძაფრი საპროტესტო რეაქცია გამოიწვია. ოპოზიციური პარტიების გაერთიანებამ განაცხადა, რომ მათი მოთხოვნების, მათ შორის ხელახალი არჩევნების ჩატარების, დაკმაყოფილების გარეშე ისინი უარს აცხადებდნენ საპარლამენტო მანდატების მიღებაზე. ბოიკოტს გამოთიშული რამდენიმე დეპუტატის გარდა, საქართველოს პარლამენტი დღეს ერთპარ-

6 https://www.heritage.org/defense/report/nato-membership-georgia-us-and-european-interest

ტიულია. ამ ტექსტის დასრულებისას კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი ნაპოვნი ჯერ კიდევ არ არის.

საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ერთპარტიული მმართველობა ნატო-ს წევრობასთან შეუთავსებელია. როგორც ალიანსის წარმომადგენელმა, ჯეიმს აპატურაიმ, განაცხადა: „ნატო-ს ქვეყნების პოლიტიკური სისტემების საერთო თვისება აქტიური და ქმედითი ოპოზიციაა“.[7]

სამწუხაროდ, ერთპარტიული მმართველობისკენ მიდრეკილება საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნაწილი წლების განმავლობაში იყო. ასე იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობისას, ასეა დღესაც. „ქართული ოცნების“ მთავრობა ხელისუფლებას 2012 წლის შემდეგ, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ფლობს. მმართველობის დასაწყისი იმედისმომცემი იყო. მმართველი ძალა კოალიციას წარმოადგენდა, რომელშიც „ქართული ოცნების“ გარდა, ხუთი სხვა პარტიაც შედიოდა. აქედან ორი გამოკვეთილად ლიბერალურ-დემოკრატიული, პროდასავლური პარტია იყო: „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“.

2012 წლის შემდეგ გაძლიერდა ტენდენცია, რომელმაც კონსენსუსის პრინციპზე დაფუძნებული კოალიცია ერთპარტიული მმართველობით ჩაანაცვლა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, კოალიციის ორ საკვანძო პარტიას, „თავისუფალ დემოკრატებს“ და „რესპუბლიკელებს“ „ქართულ ოცნებასთან“ საარჩევნო ბლოკის შექმნა აღარ შესთავაზეს. ნათელი იყო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დამატებითი მანდატების მოპოვების შესაძლებლობა დაინახა, რაც მათ ვეტოს დასაძლევად საჭირო უმრავლესობის შექმნის საშუალებას აძლევდა. მართლაც, 2016 წლის არჩევნები მათი გამარჯვებით დასრულდა. კოალიციის გარეთ დატოვებულმა პარტიებმა 5%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს.

გამართლდა ეჭვები, რომ მთავრობა სასამართლოს საქმიანობაში აქტიურად ერეოდა და განაჩენთა გამოტანას აკონტროლებდა. საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ხელისუფლება სასამართლო რეფორმის ჩაგდებაში დაადანაშაულეს. სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 წლის მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მთავრობას სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის პოლიტიკური ნების არქონაში თექვსმეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ადანაშაულებდა: „2015 წლის შემდეგ არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რათა საქართველოს სასამართლო სისტემაში კორუმპირებული და კომპრომეტი-

7 *http://georgiatoday.ge/news/23311/James-Appathurai%3A-NATO-Countries-Do-Not-Have-Gov*

რებული მოსამართლეების გავლენა გაძლიერებულიყო“.[8] სასამართლოსადმი ნდობის არარსებობამ გამორიცხა 2020 წლის არჩევნების გაყალბების ფაქტების ეფექტური გამოძიების შესაძლებლობა: ოპოზიციის მტკიცებით სასამართლოებმა საარჩევნო ბიულეტენების გადათვლის მოთხოვნების 99%-ზე თქვეს უარი.[9]

თუ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ოპოზიციისა და ხელისუფლების პრიორიტეტად რჩება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური კრიზისი სასწრაფოდ უნდა დაიძლიოს. ერთპარტიული მმართველობის მქონე ქვეყნის ევროკავშირში ან ნატო-ში გაწევრიანების თხოვნას სერიოზულად არავინ მოეკიდება.

ერთპარტიული პარლამენტი ქართველი ამომრჩევლების 40%-ს საპარლამენტო წარმომადგენლების გარეშე ტოვებს. ასეთი მოცემულობა არა მარტო დასავლურ სტანდარტებთან შეუთავსებლობის გამოა მიუღებელი, ეს პოლიტიკური დესტაბილიზაციის ახალი კერაა. ეს განსაკუთრებით საშიში რუსეთის მიერ ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევის გათვალისწინებითაა.

დაუყოვნებელი მოქმედების ვალდებულება ორივე მხარეს ეკისრება. დასაწყისისთვის, კარგი იქნება აგრესიულ რიტორიკაზე, რევოლუციისკენ და დაუმორჩილებლობისკენ მოწოდებებზე უარის თქმა. შემდეგი ნაბიჯი შეიძლება იყოს მხარეების საერთო განცხადება, რომ სტატუს-ქვო მიუღებელია და ორივე მხარე მზად არის ყველაფერი იღონოს ქვეყნის პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანისთვის.

საქართველოს პარლამენტში დემოკრატიული წარმომადგენლობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მოქალაქეების მიერ არჩეული პოლიტიკოსების პრეროგატივაა. დასავლეთთან დაახლოების ამ დაბრკოლების გაქრობა მათ შეუძლიათ. შავი ზღვის რეგიონში სტრატეგიული მდებარეობის და ნატო-სთან თანამშრომლობის ხანგრძლივი და წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველო ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის წარმატების ყველა წინაპირობას ქმნის.

ვაშინგტონის მიერ კრიზისის მათ ნაცვლად მოგვარებას არცერთი მხარე არ უნდა ელოდოს. ბაიდენის ადმინისტრაციის წინაშე არსებული საერთაშორისო და საშინაო პრობლემების გათვალისწინებით, თეთრი სახლი კიდევ დიდხანს ვერ მოიცლის იმ საკითხებისთვის, რომლებიც შეერთებული შტა-

8 *https://www.state.gov/reports/2019-country-reports-on-human-rights-practices/georgia/*

9 *http://www.tabula.ge/ge/story/182223-kapanadze-sasamartloebma-99-shemtxvevashi-ar-daakmakofila-motxovna-ubnebis-gadatvlaze*

ტების კრიზისიდან გამოყვანასთან არ არის დაკავშირებული.

მიუხედავად ამისა, ახალმა ადმინისტრაციამ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძვლიანი გადახედვა დაიწყო. განსახილველ საკითხებს შორისაა შეერთებული შტატების სამხედრო ძალების საერთაშორისო განაწილება. იმედი ვიქონიოთ, რომ როცა საუბარი შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის გადახედვას შეეხება, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინაშე საქართველო დემოკრატიული და ანგარიშვალდებული ხელისუფლების მქონე სტაბილური პარტნიორის სახით წარსდგება.

FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

შეუსვენელი ღამე 11 წლის შემდეგ:

წერილი, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციას ევროპის უსაფრთხოების დაცვაში დაეხმარება



ირინა არაბიძე

ირინა არაბიძე, *საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*

„ჩვენი ერები უაღრესად დავალებულნი არიან ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. ბევრმა ჩვენგანმა პირადი გამოცდილებით იცის თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო თქვენი მხარდაჭერა ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ცივი ომის ბნელ წლებში. ამერიკის ჩართულობა და მხარაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი დემოკრატიული ტრანსფორმაციის წარმატებისათვის 20 წლის წინ, როდესაც რკინის ფარდა დაეცა. ვაშინგტონის ხედვისა და ლიდერობის გარეშე ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩვენ დღეს ნატოსა და ევროკავშირის წევრები ვყოფილიყავით.“

2009 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამოქალაქო მოღვაწეებმა ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ბარაკ ობამას ამ სიტყვებით მიმართეს. ღია წერილის ხელმომწერებს შორის იყვნენ ვალდას ადამკუსი, ვაცლავ ჰაველი და ლეხ ვალენსა.

წერილის ავტორებმა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებზე და რეგიონში ამერიკის როლზე ისაუბრეს. მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შესანარჩუნებლად მათ ობამას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შესთავაზეს. მათ შორის იყო ნატოს მხარდაჭერა, რუსეთთან სახიფათო დათმობებზე წასვლის თავიდან აცილება, ენერგოუსაფრთხოების დაცვა და ამერიკასა და ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებს შორის ახლო კავშირის შენარჩუნება.

ამ წერილის გამოქვეყნებისას ჯო ბაიდენი ვიცე პრეზიდენტის პოსტს იკავებდა. ის ამჟამად ამერიკის პრეზიდენტია. მნიშვნელოვანია შევაფასოთ როგორ განვითარდა მოვლენები წერილის გამოქვეყნებიდან ერთი დეკადის მანძილზე, რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია და როგორი უნდა იყოს ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკა ჩვენ რეგიონში დღეს.

რა მოხდა 11 წლის მანძილზე?

ღია წერილის ავტორები ხაზს უსვამდნენ, რომ ამერიკასა და ევროპას ერთმანეთი ისევ ისე სჭირდებათ როგორც წარსულში და პრეზიდენტ ობამას

სთხოვდნენ ევროკავშირთან ურთიერთობა სტრატეგიულად უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა. მას შემდეგ ევროპასა და ამერიკას შორის ერთიანი პოზიცია როგორც პოლიტიკურ, ისე უსაფრთხოების და ეკონომიკურ საკითხებზე კიდევ უფრო დაშორდა ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია ევროპასთან ურთიერთობის გადატვირთვის დაპირებით მოვიდა, კომენტატორები ღიად წერენ ინტერესთა იმ ფუნდამენტურ სხვაობაზე, რაც ევროპასა და ამერიკას შორის უსაფრთხოების თემებზე არსებობს. ევროკავშირის წამყვანი ქვეყანები არ არიან მზად რუსეთსა და ჩინეთს დაუპირისპირდნენ, მაშინ როდესაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებთან პაექრობა იქნება.

ევროკავშირსა და ამერიკას შორის ერთიანი ფრონტის დასუსტების ყველაზე ცხადი ბოლოდროინდელი მაგალითი ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაა. ხელშეკრულება, რომელიც ევროპის ჩინეთზე დამოკიდებულებას ზრდის იმ პირობებში გაფორმდა როდესაც ევროკავშირს მსგავსი შეთანხმება ამერიკასთან ჯერაც არ აქვს. მოლაპარაკებები პრეზიდენტ ობამას პერიოდში შევიდა ჩიხში, რადგან მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

ევროპას არც 5G-ის სისტემების თემაზე აქვს ამერიკასთან ერთიანი ფრონტი. ჩინური ტექნოლოგიის გამოყენება ბრიტანეთმა და შვედეთმა აკრძალეს, ხოლო გერმანია და საფრანგეთი ღია დაპირისპირებისგან თავს იკავებენ.

ურთიერთობა რუსეთთან

პრეზიდენტ ობამასთვის გაგზავნილი ღია წერილის ავტორებმა 11 წლის წინ შეშფოთება გამოთქვეს იმ უმოქმედობაზე, რომელიც ატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრის დროს გამოიჩინა. მათ პრეზიდენტი გააფრთხილეს, რომ დასავლური ინტერესების ვიწრო ჭრილში განხილვას შესაძლოა რუსეთის მიმართ არასწორ დათმობებზე წასვლა მოჰყოლოდა.

2009 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ობამამ წინა ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და ჩეხეთსა და პოლონეტში სარაკეტო სისტემების განთავსებაზე უარი თქვა. რუსეთს, რომელიც გამალებით ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესს სანაცვლოდ არაფერი დაუთმია.

ჩეხეთის ყოფილი საგარეო და თავდაცვის მინისტრი ალექსანდრ ვონდრა იხსენებს, რომ წერილმა ვაშინგტონსა და ბრიუსელში ისტერიული რეაქცია გამოიწვია. ის ამბობს, რომ ევროპარლამენტში სოციალ-დემოკრატების ალიანსმა ხელმომწერებს „კონფრონტაციული ნეო-კონები“ უწოდეს, რომლებიც „რუსეთის საფრთხის მიმართ ობსესიამ“ დააბრმავა. 5 წლის შემდეგ ვონდრა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ის ერთ სიტყვასაც არ შეცვლიდა გამოქვეყნებულ წერილში.

2009 წლის შემდეგ რუსეთის ქმედებები სამეზობლოში კიდევ უფრო აგრესიული გახდა. საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ჯარის გაყვანის ნაცვლად, რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 8000-ზე მეტი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა განალაგა და ამ ტერიტორიების ფაქტიური ანექსია მოახდინა.

ოთხი წლის შემდეგ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ევროპაში სახელმწიფო საზღვრები ძალისმიერი მეთოდით შეცვალა. რუსეთის ეს ნაბიჯები დღემდე დაუსჯელი რჩება.

ევროკავშირმა რუსი ოპოზიციონერი ლიდერის ალექსეი ნავალის მოწამვლის და მისი დაპატიმრებისთვის თებერვლის ბოლოს მოსკოვს ახალი სანქციები დაუწესა. დღემდე მოქმედებს უკრაინაში შეჭრისთვის რუსეთზე დაწესებული სანქციებიც, მაგრამ ამ პროცესის მიღმა ევროპას რუსეთის მიმართ ერთიანი პოლიტიკა არ გააჩნია. არსად ჩანს რუსეთის შესაკავებლად კონსოლიდირებული ევროატლანტიკური სტრატეგიაც.

რუსეთის მიმართ შემრიგებლური პოლიტიკის ბოლო ნათელი მაგალითი ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ხელმძღვანელის იოზეფ ბორელის მოსკოვში თებერვალში გამართული წარუმატებელი ვიზიტი იყო. ის ნავალნის დაპატიმრების მიუხედავად მოსკოვში ჩავიდა, სადაც რუსეთს შესაძლებლობა მისცა ევროკავშირის წამყვანი ფიგურა ღიად დაემცირებინა.

ურთიერთობა ნატოსთან

ცივი ომის პერიოდში ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი იყო. საბჭოთა საფრთხის გაქრობის შემდეგ ნატო შენარჩუნდა და გაფართოვდა, მაგრამ ევროპის ქვეყნებმა უსაფრთხოებაში

მნიშვნელოვანი ინვესტიციის ჩადება შეწყვიტეს. ევროპიდან სამხედროების და შეიარაღების დიდი ნაწილი გაიყვანა ამერიკამაც.

პრეზიდენტ ობამასთვის გაგზავნილ წერილში, ავტორები წერდნენ, რომ შეცდომა იყო ნატოს გაფართოების შემდეგ მეხუთე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის გეგმების შედგენის გვერდზე გადადება. ისინი ამბობდნენ, რომ კრიზისის შემთხვევაში ალიანსს მისი ყველა წევრის დაცვა უნდა შეეძლოს. 2017 წელს გამოცემულ რენდის კორპორაციის კვლევაში რუსეთს ბალტიის ქვეყნების სამივე დედაქალაქამდე მიღწევა 60 საათში შეუძლია. ნატოს წევრი ევროპული ქვეყნების თავდაცვის ხარჯები კი, ამის მიუხედავად, თანაზომადად არ გაზრდილა.

ეს თემა წლებია განხეთქილების საგანია ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში. ევროპის თავდაცვის ხარჯებით განაწყენებულმა ობამამ, მისი პრეზიდენტის რანგში ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ევროპელებს „უბილეთო მგზავრები“ უწოდა. ამ თემაზე ბევრად უფრო კრიტიკული იყო პრეზიდენტი ტრამპი. 2014 წელს ნატოს წევრი მხოლოდ სამი სახელმწიფო ამერიკა, ბრიტანეთი და საბერძნეთი ხარჯავდა GDP-ის 2%-ს თავდაცვაზე. მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, დღეს ნატოს წევრთაგან მხოლოდ ათი სახელმწიფო ხარჯავს 2%-ს ან მეტს. მოსალოდნელია, რომ თავდაცვის ხარჯების საკითხს პრეზიდენტი ბაიდენიც დააყენებს ევროპელებთან.

ამ პირობებში, საფრანგეთის ლიდერი ემანუელ მაკრონი აქტიურად ლობირებს ევროპის სტრატეგიული ავტონომიის იდეას და რუსეთის მიმართ შემრიგებლური ტონით გამოირჩევა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს „ტვინმკვდარი“-ც კი უწოდა, რასაც რუსეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, კმაყოფილებით გამოეხმაურა. ევროპის სტრატეგიული ავტონომია კონტინენტის ამერიკისგან დისტანცირებას ემსახურება. ეს მოვლენების ნეგატიური განვითარებაა, რადგან ევროპაში ამერიკის გავლენის შესუსტება ჩინეთსა და რუსეთს მხოლოდ აძლიერებს. ევროკავშირს ამ სახელმწიფოებთან ღია პაექრობის არც სამხედრო პოტენციალი და არც სურვილი აქვს.

სულ ცოტა ხნის წინ, გერმანიის კანცლერმა ღიად განაცხადა, რომ ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირებაში ევროპა მიუმხრობელი უნდა დარჩეს. ბაიდენის ადმინისტრაციისთვის, რომელიც დემოკრატიული სოლიდარობის პრინციპით ევროპისგან თანამშრომლობას ელოდა, ეს მნიშვნელოვანი იმედგაცრუებაა.

„დიდ სახელმწიფოთა პაექრობა ერთი-ერთზე გამართული დუელის შთაბეჭდილებას ტოვებს: ათენი სპარტას წინააღმდეგ, რომი კართაგენის წინააღ-

მდეგ, მოსკოვი ვაშინგტონის წინააღმდეგ. თუმცა, ეს შეჯიბრი დაპირისპირებულ მხარეებს შორის მყოფი სახელმწიფოების ერთგულებისთვის ბრძოლაც არის, რაც იმას ნიშნავს რომ მათზე მცირე სახელმწიფოების არჩევანმა შესაძლოა ზესახელმწიფოების ბედი გადაწყვიტოს“ – წერს ჰალ ბერნსი ამერიკა-ჩინეთის პაექრობაში მოკავშირეების როლზე საუბრისას. 5G-ის ტექნოლოგაზე დაპირისპირებაც ცხადყოფს, რომ ამერიკას ჩინეთთან ევროპის გარეშე პაექრობა გაურთულდება.

ენერგოუსაფრთხოება

2009 წელს პრეზიდენტ ობამასთვის მიწერილ ღია წერილში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ენერგოუსაფრთხოების თემასაც. „ამერიკის მხარდაჭერის გარეშე ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი არასოდეს აშენდებოდა. ენერგოუსაფრთხოება ამერიკასა და ევროპას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს“ – წერდნენ ისინი. შესაბამისად, ავტორებმა ამერიკას ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიკაციაში დახმარება სთხოვეს.

11 წლის შემდეგ გერმანიამ რუსეთისთვის გეოპოლიტიკურად უაღრესად მომგებიანი ნორდსტრიმ ორის გაზსადენის მშენებლობა თითქმის დაასრულა. 1200 კილომეტრიანი პროექტიდან დღეს მხოლოდ 75 კილომეტრი დარჩა ასაშენებელი. პროექტი, ტრამპის ადმინისტრაციის მიერ სანქციების დასწესების შემდეგ დროებით შეჩერდა. მედიის ცნობით მშენებლობა თებერვალში განახლდა, მაგრამ ვაშინგტონი სანქციების ამოქმედებას ბერლინთან ურთიერთობის დაბობის სურვილით არ ჩქარობს.

ამერიკის გავლენის და როლის შესუსტება

დღეს ამერიკის გავლენა და დასავლეთის მხარდამჭერი ძალები ჩვენს რეგიონში ბევრად უფრო მოწყვლად პოზიციაში არიან ვიდრე 11 წლის წინ.

პრეზიდენტ ობამასთვის გაგზავნილი ღია წერილის ავტორებმა 2009 წელს გამოთქვეს წუხილი, რომ რეგიონში მმართველი ელიტები იცვლებიან და ისინი შესაძლოა ამერიკის გვერდით ისე მტკიცედ აღარ დადგნენ, როგორც წარსულში. ამ ელიტებს თავის თავზე არ გამოუცდიათ 1989 წლის რევოლუციები და ამერიკის როლი დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში. წერილის ავტორები შიშობდნენ, რომ ამერიკასთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნების გარეშე, პრო-დასავლური ვექტორის დაცვა გართულდებოდა.

მას შემდეგ ჩვენს რეგიონში დემოკრატიული უკუსვლის შემაშფოთებელი ნიშნები ვიხილეთ. საქართველოში მიმდინარე მოვლენებიც ცხადყოფს, რომ ქვეყანა ურთულეს პოლიტიკურ პროცესს გადის.

ჩვენი ქვეყნის 30 წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში დაგროვილი გამოცდილება გვაჩვენებს თუ რა ტიპის პროცესი ქმნის დასავლურ გავლენას ქვეყანაში და რა ასუსტებს მას. ღერძი, რომლის გარშემოც ეს აღმასვლა და უკუსვლა ტრიალებს ამერიკის ძალის აღქმაა.

1990-იან წლებში, ჩარლზ კრაუტჰამერის სიტყვებით, ამერიკამ უნიპოლარული მომენტი გამოსცადა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ის ერთადერთი ზესახელმწიფო გახდა მსოფლიოში. ქვეყანას უზარმაზარი შესაძლებლობები და გავლენა გააჩნდა. ამ პერიოდში რეგიონის ქვეყნები, განსხვაებული პრობლემების მიუხედავად, ამერიკაში საკუთარი უსაფრთხოების მტკიცე გარანტს ხედავდნენ. დღეს ეს მოცემულობა შეცვლილია. აკადემიურ წრეებსა და მედიაში არ წყდება კამათი ამერიკის ძალის ფარდობით დაკნინებაზე და ქვეყნის მიერ მისი გლობალური როლისგან უკან დახევის პროცესზე. ცივი ომის პერიოდისგან განსხვავებით, ამერიკის მიერ შექმნილი გლობალური მსოფლიო წესრიგის დაცვის სურვილი განელებულია ამერიკის პოლიტიკურ ელიტასა და მოსახლეობაშიც.

ჩვენ რეგიონში ამერიკის როლის შემცირების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი მთიან ყარაბაღში შარშან განვითარებული მოვლენებია. სამშვიდობო შეთანხმება დასავლელი მომრიგებლების, ამერიკისა და საფრანგეთის, გარეშე გაფორმდა. ზავის ფონზე საერთაშორისო მინსკის ფორმატი ფაქტიურად გაუქმდა. ამით ეს დაპირისპირება ადგილობრივი ძალების გარიგებით გადაწყდა და კონფლიქტების მოგვარების ავტორიტარული მოდელი გაძლიერდა.

ალიევმა საზავო შეთანხმების გაფორმების შემდეგ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც ყველა ამბობდა, რომ ყარაბაღის კონფლიქტს ძალისმიერი გადაწყვეტა არ აქვს, ის საპირისპიროს ამტკიცებდა და მართალი გამოდგა. ალიევმა დასავლეთის მონაწილეობით წარმართული 30 წლიანი

დიპლომატიური პროცესიც გააკრიტიკა და თქვა, რომ ამან შედეგი ვერ მოიტანა.

არასტაბილური მდგომარეობაა სომხეთშიც, სადაც მხოლოდ გასულ კვირას ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლ ფაშინიანმა სამხედროები გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა. ფაშინიანს, რომელიც დემოკრატიული ტალღის ფონზე მოვიდა, აზერბაიჯანთან ომის წაგების შემდეგ ნაციონალისტური და პრორუსული ძალები უპირისპირდებიან. სომხეთის მარცხი მათ საშუალებას აძლევს დასავლური და დემოკრატიული იდეები ფაშინიანის დისკრედიტაციისთვის გამოიყენონ და მას ბრალს რუსეთთან დისტანცირებასა და ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერის ფუჭ მოლოდინში სდებენ.

ბაიდენის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა ჩვენ რეგიონში: როგორ უნდა იმოქმედოს ამერიკამ?

როგორც წარსულში ისე დღეს ჩვენი რეგიონი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციას შეუძლია იმგვარი ნაბიჯები გადადგას, რომელიც როგორც ამერიკის როლს გააძლიერებს ისე რეგიონში მიმდინარე უკუსვლის შეაჩერებს. ეს პოლიტიკა ორი თემის გარშემო შეგვიძლია დავაჯგუფოთ. **უსაფრთხოება** და **ღირებულებები**.

უსაფრთხოება

თებერვალში მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ბაიდენმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ უთხრა, რომ „ამერიკა დაბრუნდა.“ „პუტინი ცდილობს დაასუსტოს ევროპული პროექტი და ჩვენი ნატოს ალიანსი. მას სურს ტრანსატლანტიკური ერთიანობის და ჩვენი სიმტკიცის დასუსტება,

რადგან კრემლისთვის ბევრად უფრო ადვილია დააშინოს და დაემუქროს სახელმწიფოებს ინდივიდუალურად, ვიდრე მოელაპარაკოს ძლიერ და მჭიდროდ შეკრულ ტრანსატლანტიკურ საზოგადოებას. სწორედ ამიტომ, უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება“ – განაცხადა ბაიდენმა სიტყვით გამოსვლისას. მან დასძინა, რომ ამერიკას “სურს იმგვარი მომავალი სადაც ყველა ერს, ძალადობის, მუქარის ან იძულების გარეშე შეუძლია თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი გზა.“

როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს ბაიდენის ადმინისტრაციამ ჩვენ რეგიონში ამ მიზნის მისაღწევად?

მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეას რუსეთზე დიდი მოწინააღმდეგე არ ჰყავს. თუ ამერიკა ევროპის უსაფრთხოებაზე სერიოზულად ფიქრობს, ბაიდენის ადმინისტრაციამ რუსეთის წინააღმდეგ შეკავების პოლიტიკა უნდა გააძლიეროს და სტრატეგია ქმედებებში თარგმნოს.

სახელმწიფოებს მოწინააღმდეგეებთან შეჯიბრში სჭირდებათ სამხედრო ძალა, მისი გამოყენების მზაობის დემონსტრირება და ძლიერი ალიანსების სისტემა. რუსეთის შემთხვევაში ამერიკამ სამივე კომპონენტი უნდა გააქტიუროს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ბაიდენის ადმინისტრაციამ:

1. გაზარდოს სამხედრო კონტიგენტი და შეიარაღება ევროპაში;

2. გააღრმავოს უსაფრთხოების თანამშრომლობა რეგიონის ნატოს არაწევრ სახელმწიფოებთან;

3. რუსეთთან დაპირისპირებაში მთავარ მოკავშირედ ფრონტისპირა სახელმწიფოები აირჩიოს;

4. და გააძლიეროს ის თანამშრომლობის ფორმატები, რომლებიც ჩვენი რეგიონის ქვეყნებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას მჭიდროდ დაუკავშირებს.

სამხედრო კონტიგენტი და შეიარაღება

რუსეთთან შეჯიბრში ამერიკას ღირებული სახელმძღვანელო აქვს. ეს ცივი ომის გამოცდილებაა. წარსულის მსგავსად, რუსეთს დღესაც აკავებს ძალის დემონსტრირება, ხოლო სისუსტე აპროვოცირებს.

ამჟამად ამერიკის ევროპის სარდლობაში მხოლოდ 70,00-მდე ამერიკელი სამხედრო მსახურობს. ამ ფონზე, რუსეთის დასავლეთის სამხედრო ოლქში, რომელიც ევროპას ესაზღვრება, 300,000-მდე ჯარისკაცია განლაგებული. ცივი ომის დროს ამერიკას ევროპაში რამოდენიმე ასეული ათასი ჯარისკაცი ყავდა გაგზავნილი და ფრონტისპირა სახელმწიფოს, გერმანიას, 200,000-ზე მეტი სამხედროთი იცავდა.

დღეს ამ ხაზმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გადმოინაცვლა. შესაბამისად, საჭიროა ძალის კონცენტრაციაც გეოგრაფიულად ამ რეგიონში მოხდეს. ამასთან, ამერიკას შეუძლია ახალი ენერგია შესძინოს რუმინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც შავ ზღვაზე ნატოს მუდმივი ფლოტის შექმნას გულისხმობს. ქვეყანა წლებია ცდილობს დასავლეთის ყურადღება შავი ზღვის უსაფრთხოების საკთხებს მიაპყროს.

უსაფრთხოების თანამშრომლობა ნატოს არაწევრ სახელმწიფოებთან

კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამერიკამ საქართველო, უკრაინა და მოლდოვეთი ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის ფორმატში ჩართოს. სანამ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები არ არიან, ამერიკას შეუძლია ორ ქვეყნას ნატოს მიღმა წამყვანი მოკავშირე სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭოს. ეს ძლიერი პოლიტიკური სიგნალი და მნიშვნელოვანი პრაქტკული დახმარება იქნება, რადგან სტატუსი სამხედრო თანამშრომლობის გააღრმავების შესაძლებლობას მოგვცემს.

2014 წელს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა წარმოადგინა კანონპროექტი, სადაც საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისთვის ნატოს მიღმა წამყვანი მოკავშირეს სტატუსი უნდა მიენიჭებინათ. ჩანაწერი კანონპროექტიდან მაშინ ამოიღეს, მაგრამ ინიციატივის გააქტიურება დღესაც შესაძლებელია. საქართველოსა და უკრაინის უსაფრთხოების დაცვა რეგიონში სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნებისთვის თავდაცვით იარაღზე ხელმისაწვდომობასაც უნდა გულისხმობდეს. აღსანიშნავია, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და ეროვნული უსაფრთხოების მდივანი ჯეიკ სალივანი ობამას ადმინისტრაციაში უკრაინასა და საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიწოდების მომხრეები იყვნენ. ბაიდენის პრეზიდენტობის პირობებში აუცილებელია ამ პოზიციას ქმედითი ნაბიჯები მოჰყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ან ნატოს სამხედრო ბაზის განლაგება საქართველოში ამჟამად ნაკლებსავარაუდოა, არსებობს ალტერნატივები.

ერთ-ერთი ასეთი შემოთავაზება აშშ-ის ძალების ევროპული სარდლობის ყოფილი მეთაურის, გენერალ ბენ ჰოჯესს ეკუთვნის, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინასა და საქართველოში როტაციული ძალების განთავსების იდეას ემხრობა.

საქართველო და უკრაინა ასევე მნიშვნელოვანი დასაყრდენია შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტშიც. ამერიკას შეუძლია ორ ქვეყანას სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაში დაეხმაროს, რაც რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი შეკავების პოლიტიკის ფარგლებში, დასავლეთის პოზიციებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

ევროპის უსაფრთხოების დასაცავად ასევე მნიშვნელოვანია ამერიკამ ბელარუსის რუსეთის გავლენისგან გასათავისუფლებლადაც იმუშაოს. გასულ წელს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანის მაიკ პომპეოს ვიზიტი მინსკში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ბელარუსის რუსეთზე პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება საჭიროა ბაიდენის ადმინისტრაციის პრიორიტეტი გახდეს.

ფრონტისპირა სახელმწიფოები და რეგიონული ფორმატები

ევროპის ქვეყნებს დღეს ეროვნული უსაფრთხოების განსხვავებული პრიორიტეტები აქვთ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის რუსეთი ეგზისტენციალური საფრთხეა, ხოლო დასავლეთ ევროპის რიგი სახელმწიფოსთვის რუსეთთან პაექრობა ცივ ომთან ერთად დასრულდა.

შეკავების პოლიტიკის გასატარებლად ამერიკის ყვლაზე ერთგული პარტნიორები რუსეთის ფრონტისპირა სახელმწიფოები არიან. ამერიკის სტრატეგიული ინტერესები მათი უსაფრთხოების ინტერესებს ზედმიწევნით ემთხვევა. შესაბამისად, ეს ქვეყნები მზად არიან ყველაზე მეტი გაიღონ ერთიანი შეკავების პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგიის სისრულეში მოსაყვანად.

ამერიკა ევრიპის უსაფრთხოებას ნატოს ფორმატში უზრუნველყოფს, ხოლო საქართველო და უკრანია ალიანსის წევრები ჯერ-ჯერობით არ არიან. გარდამავალ პერიოდში საჭიროა ამერიკამ ისეთი ფორმატების შექმნას ან გააქტიურებას დაუჭიროს მხარი, სადაც ჩვენ ქვეყნებს შეზღუდვის გარეშე შეეძლებათ ჩართვა. რუსეთის გარშემო ფრონტისპირა სახელმწიფოების ერთიანი თავდაცვითი ჯაჭვის შეკვრას ჩვენი რეგიონის ქვეყნების მონაწილეობა სჭირდება.

ერთ-ერთი ასეთი პლატფორმა სამი ზღვის ინიციატივაა, რომელიც ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვების სარტყელში მოქცეული სახელმწიფოების სავაჭრო, ენერგო და ციფრული კავშირგაბმულობის პროექტებით დაახლოვებისთვის შეიქმნა. პროექტი, ინფრასტრუქტურული, ენერგო და ეკონომიკური ინიციატივებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთისა და ჩინეთის გავლენის შემცირებას უწყობს ხელს. ინიციატივა ამერიკის წინა ადმინისტრაციისგან მხარდაჭერით სარგებლობდა. ამერიკამ სამი ზღვის საინვესტიციო ფონდში ენერგო პროექტების მხარდასაჭერად $1 მილიარდის ინვესტირების სურვილი გამოთქვა. ბაიდენის ადმინისტრაციას შეუძლია გეგმა კიდევ უფრო ამბიციური გახადოს და ფორმატის გაფართოვებით ჩვენი რეგიონის ქვეყნებიც ჩართოს პროცესში. პროექტისთვის კასპიის ზღვის მიმატებით ის შეიძლება ოთხი ზღვის ინიციატივად გარდაიქმნას.

სამი ზღვის ინიციატივის იდეა 1918-1922 წლებში პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მეთაურის იუზეფ პილსუდსკის სახელს უკავშირდება. ის ინტერმარიუმის სახელით არის ცნობილი. რუსეთის შესაკავებლად პილსუდსკის

სურდა პოლონეთი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რკალში მოექცია და საბჭოთა დომინაციის ქვეშ მყოფი ქვეყნების განთავისუფლებას დახმარებოდა. უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ამ გეგმის ნაწილი იყო. ამერიკის შესაკავების პოლიტიკის გასაძლიერებლად ამ იდეას დღესაც მნიშვნელოვანი შედეგები შეუძლია მოიტანოს.

ღირებულებები

23 თებერვალს, საქართველოში მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების ფონზე, ქვეყანა დასავლეთის უპრეცედენტო ყურადღების ცენტრში მოექცა. შეიძლება ითქვას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამხელა გამოხმაურება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს არ მოჰყოლია. დაიწერა ათობით სტატია. მომხდარზე უმკაცრესი კომენტარი გააკეთა ამერიკის საელჩომ. დაკავებას გამოეხმაურა სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი და საერთაშორისო ინსტიტუტები. ქვეყანა კრიტიკის ქარცხეცხლში მოყვა ყოფილი და ახლანდელი დიპლომატების და პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდანაც, რომეთლაც საქართველოს ბედი ადარდებთ.

გარდა გამოხმაურებების სიმწვავისა, 2008 წლის 7 აგვისტოსა და 23 თებერვალს შორის ერთი თვალშისაცემი მსგავსებაა. ორივე მოვლენა დასავლეთისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რასაც ჯერ შეშფოთება, ხოლო შემდეგ ქმედებებისკენ მოწოდება მოჰყვა.

უნდა ყოფილიყო თუ არა ეს ორი მოვლენა მოულოდნელი? ორივე დღე საერთაშორისო ურთიერთობებში შეკავების სახელით ცნობილი პოლიტიკის ჩავარდნით შეგვიძლია ავხსნათ.

შეკავების პოლიტიკა მარტივ ლოგიკას ეფუძნება. მოწინააღმდეგის შესაჩერებლად მას ცხადად უნდა ესმოდეს, რომ მტრული ქმედების განხორციელებით მიღებული ზიანი ბევრად აჭარბებს მოგებას. როდესაც ოპონენტი შენზე ბევრად ძლიერია მას პირდაპირ ვერ შეებრძოლები. ამის ნაცვლად, შენთვის მნიშვნელოვან თემებზე მას მცირე გამოცდას უწყობ და აკვირდები როგორ პასუხს დაგიბრუნებს.

რაც მეტი გაგდის მით მეტად გეხსნება ასპარეზი და იმ წითელი ხაზების დარ-

ღვევას იწყებ, რომელიც წარსულში ოპონენტმა გაგივლო. იმისთვის, რომ შეკავების პოლიტიკამ იმუშაოს მხოლოდ სამხედრო სიძლიერე არ არის საკმარისი. მოწინააღმდეგე დარწმუნებული უნდა იყოს შენი ნების სიმტკიცეში. რევიზიონისტი სახელმწიფოები ამერიკის სიძლიერიდან გამომდინარე ქვეყნის წინაღმდეგ პირდაპირ შეტევაზე დღემდე ვერ გადადიან, მაგრამ მსოფლიოს ყველა რეგიონში ცდიან მის სიმტკიცეს.

2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთის ქმედებები რომ გავისხსენოთ, ამერიკისთვის მოწყობილ ბევრ მცირე გამოცდას დავინახავთ. მათ შორის იყო რამოდენიმე თვალსაჩინო გადაცდომა. რუსეთმა 2007 წელს ევროპაში კონვენციურ შეიარაღებაზე შეთანხმება დატოვა. ერთი წლით ადრე რუსეთმა საქართველოზე გამავლ ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენზე დირვერსიული აქტი მოაწყო, ხოლო ერთი წლის შემდეგ წითელუბანის ტერიტორია დაბომბა. 2008 წელს რუსეთმა აფხაზეთში რკინიგზა აღადგინა და ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო წვრთნა ჩაატარა, სადაც საქართველო ღია სამიზნედ იყო აღებული. ამ ფონზე, საქართველომ 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მხარდაჭერის მტკიცე სიგნალი ვერ მიიღო. შედარებით მცირე გადაცდომებზე თვალის დახუჭვამ ვლადიმერ პუტინს აფიქრებინა, რომ დიდი გადაცდომებიც შერჩებოდა. ის ჯერ-ჯერობით მართალი გამოდგა.

მსგავსი პრინციპი არეგულირებს ამერიკის მიერ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდაჭერას ქვეყნის შიგნით. მცირე გადაცდომებსა და უკუსვლაზე თვალის დახუჭვას უფრო დიდ დარღვევებამდე მივყავართ. საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესი ამერიკისთვის საშიშია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სტრატეგიული პარტნიორის დემოკრატიულ მომავალს ეხება. ამ პროცესს აკვირდებიან ის სახელმწიფოებიც, რომლებიც ცდილობენ გაიგონ რამდენად აქტიურად აპირებს ბაიდენის ადმინისტრაცია დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვას მათ რეგიონში. თუ მიუღებელი ქცევა იმ სახელმწიფოს გასდის, რომელისთვისაც ამერიკა მთავარი დასაყრდენია საერთაშორისო ასპარეზზე, ეს ცხადი სიგნალია, რომ უფრო მეტი გავლენის მქონე სახელმწიფოებს გზა ეხსნებათ ამერიკის მოწოდებები აღარ შეისმინონ.

ჩვენი რეგიონის ქვეყნების ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ უსაფრთხოებასთან, რომ ეს ერთი მედლის ორი მხარეა. კორუფციით და ნეპოტიზმით მართული ქვეყანა რუსეთის ორბიტაში დაბრუნებას ნიშნავს, ხოლო დასავლური მოდელის სახელმწიფოს შექმნა თავისუფლების შენარჩუნებას და რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას.

მნიშვნელოვანია რეგიონში ჩინეთის მზარდი ძალის შეკავებაც, რომელიც ეკონომიკურ შესაძლებლობებს და საინვესტიციო პროექტებს გავლენის ინსტრუმენტად იყენებს. საქართველოს და ჩინეთს გაფორმებული აქვთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ქვეყანა სიდიდით საქართველოს მესამე სავაჭრო პარტნიორია. ახალი აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში ჩინეთი ასევე დაინტერესებულია საქართველოს პორტებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალით და რკინიგზით.

ამასთან, ჩინეთის მზარდი ძალა პრობლემურია იმ მხრივაც, რომ ის სახელმწიფოებს, დასავლური მოდელისგან განსხვავებით, ეკონომიკურ ხაფანგში აბამს. ქვეყანა მმართველ ელიტებთან გარიგებით იღებს მისთვის სასურველ რესურსებს და წვდომას. ასეთ პირობებში მხოლოდ ვიწრო ჯგუფები ნახულობენ მოგებას. ამითი მოსახლეობის საერთო კეთილდღეობა არ უმჯობესდება. ჩინეთს ამგვარ ურთიერთობებში მდგრადი ინსტიტუტები არ სჭირდება.

ამის საპირისპიროდ, დასავლური მოდელი ინსტიტუტციურ განვითარებას გულისხმობს. ინსტიტუტები კერძო საკუთრების პატივისცემას, კანონის უზენაისობას და ადამიანის საბაზისო უფლებებს უზრუნველყოფენ. ეს საკუთარი შრომით კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებაა, რადგან ყველას თანაბარი შესაძლებლობა აქვს და ეკონომიკური საქმიანობა დაცულია. ჩინური მოდელისთვის მსგავი პირობები სულაც არ არის საჭირო, რაც ქვეყნის განვითარებისთვის საზიანოა.

როგორც ჩინეთი ასევე რუსეთი თავისუფლად მოქმედებს იმ ქვეყნებში სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები მოშლილია და ხელისუფლება საზოგადოების საბაზისო საჭიროებებს ვერ პასუხობს. ამ პროცესში რუსეთი, რომელსაც ჩვენნაირ ქვეყნებში რბილი ძალის სუსტი ბერკეტები აქვს, რეგიონის ქვეყნების მიმხრობას დასავლეთისგან მათი განზიდვის პოლიტიკით ცდილობს.

ამის საპირისპიროდ, ამერიკას რბილი ძალის ინსტრუმენტების უხვი არჩევნი აქვს. ეკონომიკური მხარდაჭერა, განვითარებაზე ორიენტირებული დახმარება, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლითი პროგრამები ის მცირე ჩაცმონათვალია, რითაც ამერიკამ დამოუკიდებლობიდან დღემდე საქართველოს ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი. ამ პროცესში ქვეყანამ უკვე 4 მილიარდზე მეტი დახარჯა. აუცილებელია მსგავსი ჩართულობა მომავალშიც გაგრძელდეს.

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების პასუხად რუსეთში ამერიკის ყოფილმა ელჩმა მაიკ მაკფოლმა დაწერა: „ნავალნის დაკავება პირველი ტესტი იყო. მიანმარი მეორე. საქართველო მესამეა. ბაიდენმა დემოკრატია

და ადამიანის უფლებები პრიორიტეტად გამოაცხადა. ახლა დროა სიტყვები ქმედებებს მიუსადაგოს. ბაიდენი იცნობს საქართველოს. მე იქ მასთან ერთად 2009 წელს ჩავედი. მას შეუძლია მოახდინოს გავლენა.“

მაკფოლმა ზუსტად აღწერა მომენტის მნიშვნელობა. ახლა ჯერი ბაიდენის ადმინისტრაციაზეა.

„ამერიკა დაბრუნდა“, ასეთი იყო 2021 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პრეზიდენტ ბაიდენის გამოსვლის მთავარი გზავნილი. ამის შემდეგ ეს თემა ბაიდენის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ამერიკის საგარეო პოლიტიკის სიახლეებზე გაკეთებულ თითქმის ყველა კომენტარში გვხვდება. ახლა ნათელია, რომ ახალ გუნდს სურს მსოფლიოს მიანიშნოს: ამერიკის მეგობრებს მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეთ, მოწინააღმდეგებს კი სიფრთხილე მართებთ.

რა თქმა უნდა, ახალი ადმინისტრაციის მიერ მოვალეობის შესრულების დაწყებიდან ორი თვის შემდეგ, დასკვნების გამოტანა ნაადრევი იქნება. ამ ვითარებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო დეპარტამენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დანაყოფებში ახლად დანიშნულთა უმეტესობა ჯერ კიდევ სენატის მიერ დამტკიცების მოლოდინშია. ადმინისტრაციის საკვანძო თანამდებობებზე დამტკიცებული მოხელეების გარეშე, ბაიდენის გუნდის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე და თავისებურებებზე საუბარი ნაჩქარევი იქნება.

„ფრონტისპირა დემოკრატიის ჟურნალის“ მეორე ნომერში გამოცდილი დიპლომატები და ანალიტიკოსები გვიზიარებენ იმ სირთულეებისა და დაბრკოლებების ხედვებს, რომლებიც ახალ ადმინისტრაციას საერთაშორისო ასპარეზზე ელის და გვთავაზობენ სავარაუდო სცენარებს, რომლის მიხედვით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში და შავი ზღვის რეგიონში განვითარდება.

ფრონტისპირა დემოკრატიის ჟურნალი №2, 2021 | ამერიკა დაბრუნდა?

FUKUYAMA
DEMOCRACY
FRONTLINE CENTRE

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი